



შირაქი

SHIRAKI

გამოქვეყნდა 1937 წლიდან
დადოქტრინისა და პოლიტიკის განხილვის განხორციელების მიზნით

№40 (10.095)

28 ოქტომბერი-4 ნოემბერი 2023 წელი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირული გამოცემა

მასწავლებელი, როგორც ცხოვრების გზამკვლევი



მასწავლებლის
ეროვნული
დღე

27 ოქტომბერი

ჩვენი მაცხოვარი, იესო ქრისტე, სახარებაში ორგონის მოხსენიება „კადაგო-გად“ - ის იყო, იქნება და არის კაცობრიობის ყველაზე დიდი მასწავლებელი. მის მოვლინებაზე და მას შემდეგაც ადამიანთა აღზრდას უსაფრთხოდ უსწავლავს მათ, ვინც მისგან დასწავლდა ყოველი დრო და კულტურული ერი. ამ აზრის კლასიკური გამოხატულებაა ალექსანდრე მაკედონელის სიტყვები: „მამამ სიტყვას მარჯა, ხოლო არისტოტელემ ის, რაც ამ სიტყვას აზრს ანიჭებს“.

27 ოქტომბერს, წელს პირველად აღინიშნება მასწავლებლის ეროვნული დღე. ის ყველა ქართველისთვის პატივსაცემი ადამიანის, „დედაენის“ ავტორის, იაკობ გოგებაშვილის დაბადების დღეს ემთხვევა.

არაფერი ისე არ აერთიანებს ერსა და სახელმწიფოს, როგორც ენა. იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ და მისი საწყისი - „აი ია“ - მშობელი დედისა და პირველი მასწავლებლის ხმებთან ერთად სამუდამოდ დამკვიდრდა ყოველი ქართველის ცნობიერებაში. ეს წიგნი იყო და არის საქართველოს სხვადასხვა კუთხის ერთცნობიერ ერთობად განმტკიცების მნიშვნელოვან დაუკარგველი ფაქტორი. ამ თვალსაზრისით, იაკობი დიდი ქართველების - გრიგოლ ხანძთელის, გიორგი ათონელისა და სულხან-საბა ორბელიანის მაღალსულიერ-

რი საქმიანობისა და ღვაწლის ღირსეული გამგრძელებელია. „აი ია“-ს წარმოთქმას სულ ერთი წამი უნდა. ეს არის წამი, რომელიც ყოველი ქართველის ცხოვრებაში დგება და არასდროს მთავრდება - საქართველოში შეიძლება ყველაფერზე დაუსრულებლად იკამათონ და ეჭვქვეშ დააყენონ, მაგრამ „დედაენის“ პირველ სიტყვებს ეს არასდროს ეხება და, იმედია, არც არასოდეს შეეხება.

ქართველი ადამიანის ცნობიერება, მისი მენტალობა, ორ საუკუნეზე მეტია, „დედაენით“ იწყება და ყალიბდება, სამყარო „აი იათი“ შემოდის ჩვენ აღქმაში - ასე შესისხლხორციებული გვაქვს დიდი იაკობ გოგებაშვილის მიერ მოფიქრებული და საფუძველჩაყრილი სისტემა ნერა-კითხვისა, იგი უკვდავი თანმდევი სულია საქართველოსი. პირველი მასწავლებელიც, როგორც მეორე დედა, ამ წიგნთან ერთად აყალიბებს ბავშვების ცნობიერებას, „სუფთა დაფაზე“ წერს მათ მომავალს ემოციებთან და ცოდნასთან ერთად.

ჩემი პირველი მასწავლებელი დღემდე განსაზღვრავს ჩემს ცხოვრებას, ბევრჯერ მახსენდება მისი რჩევა-დარიგება. ცხოვრების რთულ პერიოდში, როგორც კარგი წიგნი, მასწავლებლების ფრაზები გვეხმარება მის დაძლევაში, ერთი შეხედვით გამოუვალი სიტუაციიდან მარტივი გამოსავლის მოძებნაში.

მასწავლებელ-მოსწავლის ურთიერთობაც დიდი ხელოვნებაა. ბავშვები ყველაზე უტყუარი და გულწრფელი შემფასებლები არიან, ამ სიყვარულს ვერაფრით იყიდი. სწორედ ესაა მასწავლებლისთვის ყველაზე დიდი ჯილდო.

27 ოქტომბერს დედოფლისწყაროს საჯარო სკოლებშიც აღინიშნა მასწავლებლის ეროვნული დღე. მოსწავლეებმა პედაგოგებს სხვადასხვა აქტივობითა და ფორმით მიულოცეს პროფესიული დღესასწაული და თავიანთი დამოკიდებულებაც გამოხატეს მათ მიმართ.

„ისინი ყველაზე გულწრფელები არიან. მასწავლებლებსაც გვჭირდება სიტბო და სიყვარული - ჩვენ ხომ დიდი მოსწავლეები ვართ! არაერთი თბილი მესიჯი მიმიღია მოსწავლეებისგან და დღესაც არ შემეძლო არ გამეზიარებინა ასეთი გულწრფელი მილოცვა!“-წერს სოციალურ ქსელში დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის პედაგოგი მარინა შანშიაშვილი.

მასწავლებლის ეროვნულ დღეს გილოცავთ ყველას, დედოფლისწყაროელი კადაგოგაო! ყოველთვის ღირსეულად გატარებინეთ მასწავლებლის სახელი, რომელიც ყველა ჯილდოსა და სტატუსზე მაღლა დგას!

ინგა შიოლაშვილი

ბირჟაზე ხორბლის ფასი ეცემა - მიზეზები

საერთაშორისო ბირჟაზე ხორბლის ფასი ეცემა - ერთკვირიან პერიოდში ბუშელი ხორბლის ღირებულებამ დამატებით 1.5%-ით იკლო და 5 დოლარი და 82 ცენტი შეადგინა, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით თითქმის 30%-ით შემცირებული მაჩვენებელია.

დაღმასვლის მიზეზი მსოფლიოს მასშტაბით მიღებული რეკორდული მოსავალია. მაგალითად, მიმდინარე წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში მოსალოდნელზე უფრო დიდ ხორბლის მოსავალს მოელიან, რასაც ფედერალური სამსახურის მიერ გასაჯაროებული მონაცემებიც ადასტურებს.

ხორბალთან მიმართებით რეკორდული მოსავალი ფიქსირდება ევროპისა და აზიის რეგიონებშიც, რაც საერთაშორისო ბირჟაზე

მარცვლეულის გაიფხვებას უწყობს ხელს. განსაკუთრებით საყურადღებოა რუსეთი, რომელმაც პროგნოზირებულ მაჩვენებელთან შედარებით თითქმის 50%-ით მეტი მოსავალი მიიღო.

ბუნებრივია, ჭარბი მიწოდება ბაზარზე ფასების შემცირებას უწყობს ხელს, სწორედ ამიტომ ერთწლიან პერიოდში ხორბლის 30%-იან გაუფასურებასთან გვაქვს საქმე.

შეგახსენებთ, რომ ივლისის მინურულს ბუშელის ფასი 7.60 დოლარს აღწევდა, რაც რუსეთის ფედერაციის გადაწყვეტილებასთან და მარცვლეულის ექსპორტის შეთანხმების შეჩერებასთან იყო დაკავშირებული, თუმცა მას შემდეგ ტრეიდერების განწყობა ხორბლის მიმართ რადიკალურად შეიცვალა.

ნავთობის და გაზის ფასები გაიზარდა

საერთაშორისო ენერგეტიკულ ბირჟაზე აღმასვლის ტენდენცია ფიქსირდება. ერთკვირიან პერიოდში ბარელი ნავთობის ფასი საშუალოდ 2%-ითაა გაზრდილი და ამჟამად Brent-ის ფასი 91 დოლარს აღწევს, WTI-ს ფასი კი 87 დოლარს ფარგლებშია.

რაც შეეხება რუსულ ნავთობს, ბარელი Urals-ის ფასი 80 დოლარის ფარგლებში მერყეობს, რაც ერთ კვირაში 4.5%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. ამჟამად რუსული ნავთობი საერთაშორისო ბირჟაზე დიდი შეიდეულის მიერ დაწესებულ საფასო ლიმიტზე 20 დოლარით უფრო ძვირად ივაჭრება.

აღმასვლის ტენდენცია ფიქსირდე-

ბა ბუნებრივ აირთან მიმართებითაც. მეგავატი/საათი ენერჯის ღირებულება ამჟამად 49 ევროს შეადგენს, რაც ერთ კვირაში 10%-ით გაზრდილი მაჩვენებელია.

ენერგორესურსების გაძვირება ისრაელი-ჰამასის სამხედრო კონფლიქტსა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში გეოპოლიტიკური ვითარების გაუარესებას უკავშირდება. ინვესტორები და ტრეიდერები შიშობენ, რომ კონფლიქტის გამწვავება ახლო აღმოსავლეთიდან ნავთობის ექსპორტის შეზღუდვას გამოიწვევს, თავად ეს რეგიონი კი ნავთობის გლობალური მარაგის უდიდეს ნაწილს აკონტროლებს.

9 თვეში საქართველოში 3.6 მილიონი ტურისტული ვიზიტი შედგა - როგორია აღდგენის დინამიკა?

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია იანვარი-სექტემბრის თვის საერთაშორისო მოგზაურთა სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს.

2023 წლის I-III კვარტალში საქართველოში 5,566,980 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა, რაც პანდემიამდელი პერიოდის (2019) მონაცემების 76.9% აღდგენაა, 2022 წელთან შედარებით კი ზრდა +43%-ია.

9 თვეში საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რაოდენობამ 3,655,576 შეადგინა, რაც 2019 წლის მონაცემის 91.6% აღდგენაა, 2022 წელთან შედარებით ზრდა +35.2%-ია.

2023 წლის III კვარტალის მდგომარეობით 2,706,863 საერთაშორისო მოგზაურის ვიზიტი შედგა, რაც პანდემიამდელი პერიოდის მონაცემების 80.2% აღდგენაა,

2022 წელთან შედარებით ზრდა +19.4%-ს შეადგენს.

2023 წლის ივლისი-სექტემბრის პერიოდში საქართველოში 1,725,093 საერთაშორისო ტურისტული ვიზიტი შედგა, რაც 2019 წლის მონაცემთან მიმართებით 92.6% აღდგენაა, 2022 წელთან შედარებით კი ზრდა +15.4%-ია.

საერთაშორისო მოგზაურებისა და საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რაოდენობა გამოითვლება მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის რეკომენდაციით შემუშავებული მეთოდოლოგიის მიხედვით და მოიცავს უკვე განხორციელებულ და დასრულებულ ვიზიტებს.

ვიზიტორების დეტალური სტატისტიკა ქვეყნების მიხედვით უახლოეს მომავალში გახდება ცნობილი.

ელექტროენერჯის ექსპორტი სექტემბერში გაგრძელდა და თურქეთში 132 მლნ კვტ.სთ მოცულობის ელექტროენერჯია გავიდა. ჯამში 2023 წლის იანვარ-სექტემბერში ქვეყანამ ექსპორტზე რეკორდული მოცულობის 1 468.2 მლნ კვტ.სთ ელექტროენერჯია გაიტანა. აქედან 1 303,38 მლნ კვტ.სთ, ანუ ექსპორტირებული ელექტროენერჯის თითქმის 89% თურქეთზე მოდის.

რაც შეეხება შემოსავლებს, 9 თვეში ელექტროენერჯის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალიც რეკორდულია და 103 მლნ დოლარს აღემატება. 2022 წელს ეს მაჩვენებელი 84 მლნ დოლარი იყო. უშუალოდ სექტემბერში თურქეთში 9 მლნ დოლარის ღირებულების ელექტროენერჯია ექსპორტირებული.

2023 წლის 9 თვეში 5.1 მლნ დოლარის ღირებულების ელექტროენერჯია გაყიდა ქვეყანამ აზერბაიჯანში, 2022 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ზრდა თითქმის 1.2 მლნ დოლარს შეადგენს. 4.1 მლნ-მდე გაიზარდა სომხეთში გატანილი ელექტროენერჯის ექსპორტი.

აღსანიშნავია, რომ აგვისტოს მსგავსად, თბოსადგურებმა სექტემბერშიც იმუშავეს და ჯამში 302 მლნ კვტ.სთ ელექტროენერჯია გამოიმუშავეს. ელექტროენერჯის ბალანსიდან ჩანს, რომ მიმდინარე წელს იმპორტირებულ გაზზე მომუშავე თბოსადგურები მხოლოდ ორი თვე მასივი-ივნისში იყო გაჩერებული (მინიმალური გამოიმუშავება ჰქონდათ). ჯამში იანვარ-სექტემბერში თბოსადგურების გამოიმუშავება 2 მილიარდ კვტ.სთ-ს აჭარბებს.

პარლისფერი- იმედისა და ჯანმრთელობის სიბოლო

„ამას მხოლოდ თქვენი ვნერ, ვინც ახლა იწყებს ბრძოლას, ვინც გზის დასაწყისშია და ჰგონია, რომ ყველაფერი დასრულდა ...“

თუ სიცოცხლე გიყვარს, იბრძოლე უკანასკნელ ამოსუნთქვამდე მანამ, სანამ გული ფეთქვას არ შეწყვეტს და მერნმუნე, რომ აუცილებლად გადარჩები!!! ...“

მიყვარხარ მე შენ, ჩემო უცნობო მეზობლო, ძლიერი სულის ადამიანო!

...და, ასე ნაბიჯ - ნაბიჯ განვლილი გზა,

საბოლოო გამარჯვებისკენ ...“

მუდმივი განსაცდელით სავსე ცხოვრება და ამ უამრავი განსაცდელისგან თავის დაღწევის მცდელობა და სურვილი ...“

ხშირად ცრემლი, ტკივილი და ზოგჯერ ბაგეზე მომდგარი ღიმილი, რომელიც იმედის დროს აისახება ხოლმე სახეზე.“



ეს მაიკო ელოშვილია, ქართველი კომპოზიტორი, რომელიც კიბოს ებრძვის. მან ეს ვერაგი დაავადება გვიან აღმოაჩინა. ამიტომაც ბევრი ძალისხმევა და მუდმივი ბრძოლა სჭირდება მის დასამარცხებლად. არიან ადამიანები, რომელთაც ეს დაავადება ადრეულ სტადიაზე აღმოაჩინეს და მალევე გაიმარჯვეს.

„ვარდისფერი ფერი ბევრი ტკივილის მატარებელია, მაგრამ ბევრ გამარჯვების ისტორიასაც ინახავს. ერთ-ერთი გამარჯვებული ვარ მე, რომელმაც ეს დაავადება 29 წლის ასაკში დავამარცხე“-ასე დაიწყო დედოფლისწყაროელ საზოგადოებასთან შეხვედრა „ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციის კახეთის რეგიონული საბჭოს თავმჯდომარემ თინათინ ხანჯალიაშვილმა.

„ადრეულ პერიოდში ძუძუს კიბოს აღმოჩენა ნიშნავს იმას, რომ მისი დამარცხება შესაძლებელია. დღეს მოქმედებს სახელმწიფო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია დიაგნოსტიკა და ადრეულ სტადიაზე აღმოჩენა. პროგრამა კახეთის რეგიონში გურჯაანში მოქმედებს. მეორე წელია, აქტიურად აღვნიშნავთ „ვარდისფერ ოქტომბერს“ და ყოველწლიურად მიგვყავს ქალბატონები სკრინინგზე. ძუძუს კიბოს ადრეული დიაგნოსტიკა 50%-ით ზრდის სიცოცხლის გადარჩენის შესაძლებლობას.“

23 ოქტომბერს, „ვარდისფერი ოქტომბრის“ კამპანიის ფარგლებში საინფორმაციო ხასიათის შეხვედრა გაიმართა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის პროფესიული კოლეჯის „აისი“ პედაგოგებთან და სტუდენტებთან. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. საინფორმაციო შეხვედრაზე, რომელიც „ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციისა და ეროვნული სკრინინგ ცენტრის ორგანიზებით გაიმართა, ისაუბრეს სკრინინგისა და ნაადრევი დიაგნოსტიკის მნიშვნელობაზე; დეტალური ინფორმაცია მიანოდეს შეკრებილ საზოგადოებას სკრინინგ ცენტრებსა და სერვისებზე, ასევე, სახელმწიფოს პროგრამებზე მკურნალობის დაფინანსებას-

თან დაკავშირებით. ღონისძიებაზე ასევე ისაუბრეს პაპილომავირუსის ვაქცინაციასთან დაკავშირებით.

უკანაინი მონიშნა, უკანაინი : „მეორე წელია, აქტიურად ვუერთდებით ვარდისფერი ოქტომბრის კამპანიას, როგორც სკრინინგ ცენტრებში ქალბატონების წაყვანით, ასევე ფლუმობებითაც, რათა რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა გაიგოს ამ აქციის მნიშვნელობა და ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიაზე დიაგნოსტიკის შესახებ. ჩვენი მიზანია, ახალგაზრდა გოგონებმა ისწავლონ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ამისთვის ჩვენ რამდენიმე მუნიციპალიტეტის დიდ სკოლაში ჩავატარეთ ლექცია-საუბრები. ჩვენი აქტივობების შედეგად, 27%-ით გაიზარდა სკრინინგ ცენტრში მიმართვიანობა. კახეთის რეგიონში კი 500-მა ქალბატონმა ჩაიტარა სკრინინგი, რაც უდაოდ, კარგი შედეგია. „ვარდისფერი ოქტომბრის“ გარდა, ჩვენ „ლურჯი მარტის“ საინფორმაციო კამპანიაც ჩავატარეთ, რომელიც მსხვილი ნაწლავის კიბოს სკრინინგს მოიცავს. ამ აქციების მიზანია, მოსახლეობამდე მივიღეს ინფორმაცია სახელმწიფო სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობისა და იმის შესახებ, რომ კიბო განაჩენი არ არის, თუ დროულად აღმოვაჩინეთ და ადრეულ სტადიაზე ვიმკურნალავთ.“

- ქალბატონო ევა, რას გულისხმობს სკრინინგ-პროგრამა და როგორია მიმართვიანობა?

- სკრინინგი არის პროგრამა, რომელიც გულისხმობს უსიმპტომო ადამიანების გამოკვლევას ანუ ჯანმრთელი ადამიანი წელიწადში ერთხელ უნდა იტარებდეს სკრინინგს, რათა ადრეულ სტადიაზე მოხდეს ძუძუს კიბოს დიაგნოსტიკა. ძუძუს კიბო ყველაზე გავრცელებული სიმსივნეა ქალბატონებში, როგორც საქართველოში, ასევე, მის ფარგლებს გარეთაც, თუმცა განვითარებული ქვეყნებისგან განსხვავებით, ჩვენთან სკრინინგ-პროგრამაზე მომართვიანობა საგრძნობლად დაბალია და უფრო ხშირად, მოგვიანებით სტადიაზე

ხდება დიაგნოსტიკა, რაც სავარაუდოდ, კავშირშია, როგორც სოციალურ მდგომარეობასთან, ასევე, პაციენტების ნაკლებ ინფორმირებულობასთან. საზოგადოება არ ფლობს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ საქართველოში არსებობს სკრინინგ-პროგრამა, რომელიც უფასოდ იკვლევს ქალბატონებს 40-დან 70-წლამდე, სიმსივნის ადრეულ სტადიაზე აღმოჩენის მიზნით.

რამდენი ხანია, რაც სკრინინგ-პროგრამა არსებობს და რა სახის გამოკვლევები ტარდება?

- წლებია, ეს პროგრამა არსებობს. სკრინინგი 2008 წელს, თბილისის (მერიისა და „იუნისეფის“ კოლაბორაციით დაიწყო. მას შემდეგ, გავრცელდა მთელ ქვეყანაში და ამჟამად, ხუთ ქალაქში მოქმედებს - თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, გორსა და გურჯაანში. თბილისში, სკრინინგის სამი ცენტრი არსებობს. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, პაციენტებს უტარდებათ გამოკვლევები, როგორცაა მამოგრაფია, ექსოპოზია და საჭიროების შემთხვევაში, ციტოლოგიური კვლევაც კი.

-რა არის ძუძუს კიბოს გამომწვევი მიზეზები, რისკ-ფაქტორები და შესაძლებელია თუ არა დაავადების თავიდან არიდება?

- ძუძუს კიბოს გამომწვევი მიზეზები შეიძლება იყოს, როგორც წარსულში ძუძუს კიბოს დიაგნოზის არსებობა, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ოჯახის ისტორია და გენეტიკური მიზეზები, მაგალითად, ჰქონდათ თუ არა ადამიანის პირველი რიგის ნათესავებს ძუძუს კიბო. არსებობს, ასევე, ჰორმონალური მიზეზები, ცხოვრების სტილი, კვებითი და ეკოლოგიური მიზეზები. შესაძლოა, ალკოჰოლის ჭარბი მოხმარება იყოს ძუძუს კიბოს განვითარების რისკ-ფაქტორი, ასევე, ჭარბი წონა და ფიზიკური აქტივობის არქონა. მნიშვნელოვანია რადიაციული ზემოქმედებაც, რომელიც შესაძლოა, სამედიცინო მკურნალობის შემდგომ განვითარდეს.

/გაგრძელება გვ.3/

პარლისფერი- იმედისა და ჯანმრთელობის სიბოლო

/დასაწყისი გვ.2/

მაგალითად, თუ პაციენტს ჩატარებული აქვს სხივური თერაპია გულმკერდის არეში, ლიმფომების დიაგნოზის შემთხვევაში, სწორედ ეს ზრდის ძუძუს კიბოს განვითარების რისკს. გარდა ამისა, რისკი იზრდება მაშინაც, თუ პაციენტი ბირთვული აფეთქებების არეალში მოხვდა.

რაც შეეხება ჰორმონალურ ზემოქმედებას, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად დავასახელებ ქალის ჰორმონებს, რაც უფრო დიდხანსაა ქალბატონი ჰორმონების ზემოქმედების ქვეშ, მით უფრო იზრდება ძუძუს კიბოს განვითარების რისკი. თუ ადრეულ ასაკში - მენოპაუზა დადგა, ამ შემთხვევაში იზრდება ძუძუს კიბოს ჰორმონდამდებითი ფორმის განვითარების რისკი. მნიშვნელოვანია მენოპაუზის შემდგომ, ჰორმონჩანაცვლებითი მკურნალობა, რომელიც ხანგრძლივ პერსპექტივაში, შეიძლება, ძუძუს კიბოს განვითარების რისკად იქცეს, ამიტომ, ასეთ შემთხვევაში, გინეკოლოგები უნდა იყვნენ ძალიან ფხიზლად. ბოლო პერიოდში, ძალიან აქტიურადაა დანერგილი ჩანაცვლებითი ჰორმონოთერაპიის მკურნალობა. როდესაც ექიმი გინეკოლოგი ნიშნავს ჰორმონჩანაცვლებით მკურნალობას, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული სხვა რისკ-ფაქტორები, რომლებიც პაციენტს შეიძლება ჰქონდეს და სწორედ ამის მიხედვით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება. ასევე, რისკ-ფაქტორს წარმოადგენს კონტრაცეპტივები. ბოლო პერიოდში, კონტრაცეპტივების ხანგამოშვებითი მიღების პრაქტიკა აქტიურად დაინერგა იმისთვის, რომ კიბოს განვითარების რისკი არ გაზრდილიყო.

რას ეტყვი იმ ქალბატონებს, რომლებსაც ჯერ არ სმენია სკრინინგ-პროგრამის შესახებ ან, უბრალოდ, თავს იკავებენ სკრინინგისგან?

მინდა, ქალბატონებს ვურჩიო, რომ აუცილებლად ჩაიტარონ სკრინინგული გამოკვლევები. ხშირად, ეს შიშთანაა კავშირში. ჩემთვისაც უთქვამთ, არ მინდა მივიდე გამოკვლევაზე, არ მინდა მოვისმინო რამე ცუდი, მაგრამ რეალურად, თუ ჩვენ ეს დაავადება გვაქვს, სჯობს, დროულად შევიტყუოთ, მაშინ, როდესაც

გამოჯანმრთელებაზე იქნება საუბარი და არა - მოგვიანებით სტადიაზე. 40-დან 70 წლამდე ქალბატონებმა აუცილებლად უნდა ჩაიტარონ სკრინინგ-გამოკვლევები და აქვე ვიტყვი, არა მარტო ძუძუს, არამედ, საშვილოსნოს ყელის სკრინინგის პროგრამაც არსებობს საქართველოში. იმ პაციენტებს კი, რომლებიც ამჟამად, ძუძუს კიბოზე მკურნალობენ, მინდა ვუთხრა, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, ჰქონდეთ სწორი განწყობა დაავადების მიმართ, რადგან ამ სწორი ფსიქოლოგიური განწყობით შევძლებთ სიმსივნესთან ბრძოლას. ჩვენ ძალიან ბევრი მაგალითი გვაქვს გადარჩენილი პაციენტებისა, რომლებიც აქტიურობენ და უკვე საკუთარი ორგანიზაციებიც აქვთ. მინდა, საზოგადოებას მოეხსნას ის სტიგმა, რომელიც არსებობს, ზოგადად, ონკოლოგიური დაავადებების მიმართ, სწორედ ეს დაგვეხმარება არა მარტო იმაში, რომ პაციენტებმა თავი არ იგრძნონ გარიყულად, არამედ, გაიზრდება ცნობიერება ონკოდაავადებების მიმართ, მეტად მიმართვენ სკრინინგ-პროგრამებს და ჩაიტარებენ გამოკვლევებს ძუძუს კიბოს ადრეულ სტადიაზე გამოსავლენად.

„ვარდისფერი ოქტომბერი“ - ასე უწოდებენ ძუძუს კიბოს შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო თვეს. აღნიშნული ღონისძიება, მამოგრაფიის წინა პლანზე წამოწვია და მისი მნიშვნელობის გაზრდის მიზნით, 1985 წელს, აშშ-ის კიბოს საზოგადოების მიერ დაარსდა, რომელიც ძალიან ძლიერი იარაღი ყველაზე გავრცელებული სიმსივნის - ძუძუს კიბოს წინააღმდეგ. ვარდისფერი ბაფთა, რომელიც ძუძუს კიბოს სიმბოლოა, 1993 წელს, „სტე ლაუდერის“ ვიცე-პრეზიდენტმა შექმნა და მას შემდეგ მთელ მსოფლიოში გამოიყენება, როგორც ძუძუს კიბოს შესახებ ცნობადობის ამაღლების სიმბოლო. საქართველოში ყოველ წელს, ოქტომბერში, ტარდება სხვადასხვა ღონისძიება, რათა ძუძუს კიბოს პრევენციასა და ადრეულ დიაგნოსტიკას გაეცხვას ხაზი.

სკრინინგის მიზანია ჯანმრთელი, ასიმპტომური პოპულაციის გამოკვლევა და ცვლილებების ადრეული აღმოჩე-



ნა სიმპტომების გამოვლენამდე. კიბოს სკრინინგის რეგულარულად ჩატარება უზრუნველყოფს დაავადების განვითარების და სიკვდილობის რისკის მკვეთრ შემცირებას.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ევროპის რეგიონში ძუძუს კიბო ქალებში კიბოთი სიკვდილობის წამყვანი მიზეზია. 2020 წელს, ევროპის რეგიონში ძუძუს კიბო დაუდგინდა 576 337 ქალს, 157 111 კი ამ დაავადებით დაიღუპა. საქართველოში ძუძუს კიბო ყველაზე გავრცელებული ლოკალიზაციის კიბოს წარმოადგენს და რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილიანობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. 2022 წელს საქართველოში ქალებში რეგისტრირებული ძუძუს კიბოს 1 936 ახალი შემთხვევა, ახალ ქალებში რეგისტრირებული ყველა ახალი შემთხვევის 35.3%-ს შეადგენს. 2018 წელს დიაგნოსტირებულ ქალებში სარძევე ჯირკვლის კიბოს ხუთწლიანი გადარჩენის მაჩვენებელმა დაახლოებით 75% შეადგინა. 2022 წელს სარძევე ჯირკვლის ახლად გამოვლენილი ავთვისებიანი სიმსივნეების საერთო რაოდენობაში I და II სტადიაზე გამოვლენის წილმა 48% შეადგინა.

სასაღწირო პროგრამის ფარგლებში კიბოს სკრინინგი უფასოა, კარგად:

*ძუძუს კიბოს სკრინინგი ტარდება 40-70 წლის ქალებში 2 წელიწადში ერთხელ,

რაც მოიცავს: მამოგრაფიას, პათოლოგიური ცვლილებების გამოვლენის შემთხვევაში ძუძუს ულტრაბგერით გამოკვლევას და, საჭიროების შემთხვევაში, ექსკოპიის კონტროლით ძუძუს ბიოფსიას; ალბუმი ბიოფსიური მასალის ციტოლოგიურ კვლევას.

*საშვილოსნოს ყელის სკრინინგი ტარდება 25-60 წლის ქალებში 3 წელიწადში ერთხელ და მოიცავს: PAP-ტესტის ჩატარებას ბეტესტას მეთოდზე დაყრდნობით; პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში კოლპოსკოპიას და საჭიროების შემთხვევაში ბიოფსიური მასალის აღებას; ალბუმი ბიოფსიური მასალის ჰისტო-მორფოლოგიურ კვლევას.

*მსხვილი ნაწლავის სკრინინგი ტარდება 50-70 წლის ქალებსა და მამაკაცებში 2 წელიწადში ერთხელ, რაც მოიცავს: კოლორექტიული კიბოს სკრინინგის პროგრამა მოიცავს: ფარულ სისხლდენაზე სპეციალური ტესტის (FOBT) ჩატარებას; პათოლოგიის გამოვლენის შემთხვევაში, კოლონოსკოპიას (გაუტკივარებისა გარეშე ან გაუტკივარებით) და საჭიროების შემთხვევაში, ბიოფსიური მასალის აღებას; ალბუმი ბიოფსიური მასალის ჰისტო-მორფოლოგიურ კვლევას. კოლონოსკოპიის დროს შესაძლებელია პოლიპექტომიის ჩატარებაც;

ინფო მთავარი

პაპილომა ვირუსის ვაქცინაციაზე ორჭოფობა ხელიდან გაშვებული უანსია

საშვილოსნოს ყელის კიბო ყოველწლიურად დაახლოებით 500000 ქალზე ახდენს გავლენას, რომელთა 80% განვითარებად ქვეყნებში ცხოვრობს. პრაქტიკულად საშვილოსნოს ყელის კიბოს ყველა შემთხვევა ადამიანის პაპილომა ვირუსის შედეგია. კარგად ორგანიზებულმა სკრინინგის პროგრამებმა და ვაქცინაციის შემოღებამ 2006 წელს საგრძობლად შეამცირა სიტუაცია, თუმცა განვითარებად ქვეყნებში, სადაც რესურსები მწირია, პაპილომა ვირუსი კვლავ რჩება ფართოდ გავრცელებული სექსუალური გზით გადადებელი ინფექციების სათავეში. როდესაც პაპილომა ვირუსზე ვსაუბროთ, აუცილებელია, ვახსენოთ მისი სანინამდებლო ვაქცინა, რომელმაც გარდატეხა მოახდინა სამედიცინო სფეროში, თუმცა მისი გავრცელება და მის გარშემო არასწორი ინფორმაციის გავრცელება კვლავ რჩება პრობლემად.

ავსტრალია არის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი, როდესაც პაპილომა ვირუსზე ვსაუბრობთ, მათმა ეროვნულმა სამედიცინო სისტემამ პირველად 2007 წელს დაიწყო უფასო, სამეტაპიანი აცრები მოზარდ გოგონებში. 2013 წელს პროგრამაში ჩაერთვნენ მოზარდი ბიჭებიც, რადგან ისინი შეიძლება გახდნენ ვირუსის მატარებელნი და გადასდონ ის პარტნიორებს. ავსტრალიის კიბოს საბჭოს მონაცემებით,



ვაქცინაციის შემოღების შემდეგ, საშვილოსნოს ყელის კიბოზე პასუხისმგებელი პაპილომა ვირუსის შემთხვევები 77%-ით შემცირდა. ამჟამად ავსტრალიას საშვილოსნოს ყელის კიბოს შედეგად სიკვდილიანობის ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს მსოფლიოში. თუმცა ეს შედეგი მხოლოდ ვაქცინაციის შემოღებას არ მოუტანია, მასთან ერთად მთავრობა აქტიურ კამპანიებს აწარმოებდა და მოსახლეობის განათლებას უწყობდა ხელს, სკოლებში ვაქცინაციის პროგრამასთან ერთად დაინერგა ზრდასრულ ქალთა პროგრამები, რომელიც პაპილომა ვირუსის დიაგნოსტიკასა და მკურნალობას ახორციელებდა.

საქართველოში ხელმისაწვდომია პაპილომა ვირუსის სანინამდებლო ვაქცინაცია 2008-2009 წელს დაბადებული გოგონებისთვის. ვაქცინაციისა და ზოგადად ინფორმაციისთვის შეგიძლიათ მიმართოთ დაავადებათა კონტროლის და საზოგადოების ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრს.

რა მდგომარეობაა ამ მხრივ კერძოდ დედოფლისწყაროში და რას ფიქრობს ხალხი, ჩვენი რესპოდენტებისგან შევიტყუოთ:

ანა ბაქაშვილი, ჟურნალისტი: „მე სიმატლე გითხრა, ჯერჯერობით ჩამოყალიბებული არ ვარ, რას გადავწყვეტ, შესაბამისად ვერც სხვას ვურჩევ, თუმცა, მიმაჩნია რომ წინ გადადგმული ნაბიჯია მედიცინაში და ონკოლოგიაში“.

რუსუდან ნადირაშვილი, მასწავლებელი: „როგორც ცნობილია, ადამიანის პაპილომა ვირუსი ყველაზე მეტად რეპროდუქციულ ასაკში გავრცელებული. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ინფიცირება ხშირად არ ინვეს რაიმე სიმპტომებს და სპონტანურად გადის. თუმცა, პაპილომა ვირუსს ხშირად შეუძლია გამოიწვიოს კიბოს წინააღმდეგ დაავადებები. საშვილოსნოს ყელის კიბოს სიმპტომების გვიან გამოვლინება ახასიათებს, როცა კიბო უკვე მორსნასულია. მიხარია, რომ ჯანდაცვის

ორგანოებისთვის პრიორიტეტულია ამ დაავადების პრევენცია. ჩვენს ქვეყანაში ტარდება ვაქცინაცია, რომელიც უსაფრთხოა და გამოირჩევა ეფექტურობით. პირადად მე, მივესალმები ამ ინიციატივას და აუცილებლად ჩავიტარებ ვაქცინაციას. მისაღებელია ისიც, რომ ინტენსიურად მიმდინარეობს სკოლის მოსწავლე გოგონების ინფორმირება პაპილომა ვირუსის შესახებ. სკოლებშიც, მათ შორის ჩემი სკოლაში, სადაც მე ვმუშაობ, სკოლის ექიმი ესაუბრება გოგონებს ამ თემაზე და პრევენციის სახით აცნობს მოზარდებს ვირუსით ინფიცირების საშიშროებებსა და ვაქცინის მნიშვნელობას. ვფიქრობ, ასეთი სახით მოსახლეობის ინფორმირებულობა გაზრდის ვაქცინაციის მსურველთა რაოდენობას და შეამცირებს ვირუსის გავრცელების რისკებს. ჩვენთან ძალიან ხშირად უტარდება ესეთი შეხვედრები, სკოლის ექიმი აქტიურადაა ჩართული ამ ყველაფერში“.

თამუნა ნატროშვილი, იურისტი: „მე მომხრე ვარ ავტოვაციის, მომავალში ჩემი გოგონების აცრასაც ვგეგმავ, რადგან, დედას ფიქრობა ქონდა, ხოლო მე პროლაქტინის ვებრძვი, მარტო მყავს ჩანერილი უფროსი გოგონა. გრძობა მეხუთე წელია ვიცრები მთელი ოჯახი და ძალიან კმაყოფილები ვართ“.

მანანა შარვაშიანი, იურისტი: „მე მომხრე ვარ და მივესალმები პაპილომა ვირუსზე ვაქცინაციას და ვთვლი, რომ მშობლები ვალდებული ვართ, ეს შანსი ხელიდან არ გავუშვათ, რათა ჩვენი შვილების ჯანმრთელობა ისეთი ვერაფერია საფრთხის წინაშე აღარ დადგეს მომავალში, რასაც საშვილოსნოს ყელის კიბო ჰქვია“!

თაბა გიგოლაშვილი, სოფ. სამრეკლ ოს ექიმი: „ადამიანის პაპილომა ვირუსის (აპვ) სანინამდებლო ვაქცინა საშვილოსნოს ყელის კიბოს პროფილაქტიკური საშუალებაა. საქართველოში ვაქცინაცია სავალდებულო პროფილაქტიკური აცრების სიაში შედის. აცრა ტარდება 10, 11, 12 წლის გოგონებ-

ში, აცრების კურსი ორდოზიანია ამ ასაკში, აცრებს შორის მინიმალური ინტერვალი 6 თვე. ამ წელს ვაქცინაცია ხელმისაწვდომი გახდა ბიჭებისთვისაც (ვინაიდან ბიჭები არიან ამ ვირუსის მატარებლები) და 13 დან 45 წლის ჩათვლით ქალებისთვის. ვაქცინა უსაფრთხოა. ვაქცინის გამოცდა წლების მანძილზე მიმდინარეობდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ. ვაქცინის უსაფრთხოების გლობალურმა კომიტეტმა შეისწავლა ამერიკაში, ავსტრალიაში, იაპონიაში ჩატარებული ვაქცინაციის ეპიდ-ზედამხედველობის მონაცემები და დალოდასკვნა, რომ ვაქცინა უსაფრთხოა. ვაქცინა უსაფრთხოა და იცავს ისეთი საშიში დაავადებისგან, როგორიცაა საშვილოსნოს ყელის კიბო, რომელიც ქალებში სიკვდილიანობის მეორე მიზეზს წარმოადგენს ძუძუს კიბოს შემდეგ და ყოველწლიურად 270 000 ქალის სიკვდილის მიზეზი ხდება... ყოველწლიურად 500 000 ქალი ავადდება საშვილოსნოს ყელის კიბოთი, 80% განვითარებად ქვეყნებში მოდის. სკრინინგის პროგრამებმა და ვაქცინაციის შემოღებამ 2006 წლიდან საგრძობლად უკეთესობისკენ შეცვალა მდგომარეობა. ჩვენმა ქვეყანამ მოახერხა და შემოიტანა ეს ვაქცინა, და 2019 წლიდან ვაქცინაცია აქტიურად მიმდინარეობს...“

ნუ დატოვებთ შვილებს აუტრელს, მათ შორის სხვა გეგმიური ვაქცინებთან, რაც ეროვნული კალენდრითაა განსაზღვრული. აცრებით მათ აარიდებთ სიცოცხლისათვის საშიშ დაავადებებს...“

დასასრულს, მინდა აღვნიშნო, რომ ყველა პასუხისმგებელია მოქალაქე ვალდებულია მეტი ნდობით მოეცოდოს იმუნოლოგის პროგრამებს, არამხოლოდ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ ზოგადად და ხელიდან არ გავუშვათ სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული უფიქრული შანსი ჩვენი და ჩვენი შვილების ჯანმრთელობის საკეთილდღეოდ.

მასალა მოამზადა ელზა სარაშვილმა

მორიბი მოპოვებული გამარჯვება

22 ოქტომბერს, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მეშვეობით ეროვნული კონკურსის ლაურეატთა გალა კონცერტი და დაჯილდოება გაიმართა. ამ კონკურსში მონაწილეობდნენ ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეები, რომლებიც მკურნალობის წინაშე ორ გუნდად წარსდგნენ. სიგელებით, ბიჭების გუნდი ოქროს, ხოლო გოგონების გუნდი - ვერცხლის მედლითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ. გუნდებს ხელმძღვანელებს ნინო ნიკვაშვილი.

გაზეთი „შირაქი“ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის დირექტორს თეა ხიორტლაძესა და გუნდების ხელმძღვანელს ნინო ნიკვაშვილს გაესაუბრა:

თეა ხიორტლაძე, ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის დირექტორი: „საერთოდ, სკოლისთვის ნებისმიერ

კონკურსში მიღწეული წარმატება და გამარჯვება ძალიან დიდი სიხარული და ამავდროულად, ბავშვებისთვის სტიმულის მიმცემია. მითუმეტეს, როდესაც კონკურსი ქართულ სიმღერასა და გალობას ეხება, ასმაგად გამოსარჩევია. ეს იმ ფონზე, როდესაც სკოლებში ოფიციალურად, ეროვნული სასწავლო გეგმით, არ ისწავლება არც ერთი მათგანი. ჩვენს სკოლას, საკუთარი სურვილით აქვს დამატებული სასწავლო კურსები გალობა და ქართული სიმღერა. ბავშვების მხრიდანაც დიდი დაინტერესება. ქართული სიმღერების გუნდი ცალკეა, სადაც 20-მდე მოსწავლეა, ხოლო ცალკეა გალობის გუნდი, სადაც 7 ბავშვი სწავლობს. ასევე გვაქვს ფოლკლორის გაკვეთილები, რომლებსაც მათა ლეკიაშვილი ასწავლის. გუნდების პედაგოგები არიან ნინო ნიკვაშვილი და ნიკოლოზ შანშაშვილი, რომლებიც ძალიან მონდომებულნი არიან და წარმატებებსაც შესაბამისს აღწევენ. მადლობა მათ შრომისა და საქმიანდმი ერთგულებისთვის“.

ნინო ნიკვაშვილი, პედაგოგი: „საქართველოს საგუნდო საზოგადოებამ, წელს გამართა რიგით მე-7 ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების ეროვნული კონკურსის მთელი ქვეყნის მასშტაბით, რომელიც ჩატარდა გაზაფხულზე ორ ტურად: პირველი რეგიონალური-თელავში და ფინალური - თბილისში. ჩემმა გუნდმა ორივე ტური მაღალი ქულებით

წარმატებით გადალახა. 22 ოქტომბერს, თბილისში ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა ლაურეატი გუნდების გალა კონცერტი და დაჯილდოება, ჩვენ წარვსდექით ორ გუნდად: ვაჟთა მგალობელთა ტრიო და გოგონათა მგალობელთა გუნდი, წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატთან არსებული გუნდის სახელით, სადაც ბიჭუნები დაჯილდოვდნენ ოქროს მედლებით და დიპლომებით, გოგონები-ვერცხლის მედლით და დიპლომებით. რაც შეეხება მღვდელმთავარს, მე უფრო ვიცი ლევა. მიუხედავად უკვე არაერთ კონკურსში მონაწილეობისა, დიდი კონკურსების ფონზე, მათ შეძლეს გადალახათ ნერვიულობა და ჟიურის დიდი სიმპატია დაიმსახურეს. ზოგადად, ასეთი კონკურსები მით უფრო მეტ მოტივაციას და პასუხისმგებლობას მატებს ბავშვს. გალობა ისეთი ფენომენია, თუ დაინყებ, თავს ველარასდროს დაანებებ, პირიქით, უფალთან გაახლოვებს და პოლიფონიური აზროვნების უნარს გიფართოვებს, ეს უნებურად ხდება მრავალხმიან მუსიკაში. რაც შეეხება მომავალ გეგმებს, ეს არც პირველი იყო და არც უკანასკნელი. სადაც და როცა დაიგეგმება მსგავსი ღონისძიებები, ყველგან ჩავერთვებით და ვიპატიურებთ“.



პროექტის მხარდამჭერები არიან: საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, თბილისის მერია, თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი, ფონდი „ქართული გალობა“, ევგენი მიქელაძის სახელობის თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი, საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირი.

გაზეთი „შირაქი“ ულოცავს ა(ა)იპ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეებსა და მათ პედაგოგს მოპოვებულ გამარჯვებას და შემდგომ წარმატებებს უსურვებს მათ.

შუშუნა ყანაშვილი



მაყვალა მაქარაშვილი: „დირექტორის მხრიდან მასწავლებელთა უფლებების შელახვის ფაქტები გოლო ხანს აღარ გვაქვს“

აქტუალურ საკითხებზე „შირაქი“ პედაგოგთა თავისუფალი პროფკავშირის დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარე მაყვალა მაქარაშვილი ესაუბრა:

- წლების წინ, დედოფლისწყაროში ხშირად ირღვეოდა პედაგოგთა უფლებები, სასამართლოში გრძელდებოდა დავები და დაპირისპირება სკოლის დირექტორებთან. ბოლო ხანს თუ აქვს ასეთ ფაქტებს ადგილი?

- პროფკავშირის დიდი ძალისხმევით, 2013 წლიდან ჩასწორდა ის ყბადღებულ 37-ე მუხლი, რომელიც დირექტორის საშუალებას აძლევდა ის მასწავლებლები სკოლიდან გაეშვა, რომლებიც არ მოსწონდა. მას შემდეგ დედოფლისწყაროში ასეთი შემთხვევები აღარ გვქონია, პედაგოგები შედარებით დაცულად გრძნობენ თავს. დირექტორსა და მასწავლებელს შორის ვითარება აღარ გამწვავებულა სკოლებში. მედიატორის როლს ვასრულებ მასწავლებელსა და დამსაქმებელს შორის და საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჩამოვიყალიბე. სკოლა დატოვეს იმ პედაგოგებმა, რომლებმაც ვერ დაადასტურეს კომპეტენცია და მატატუსი ვერ მოიპოვეს. მართალია, ჩვენ ვცდილობთ ყოველთვის ხელი შეუწყოთ პედაგოგებს, მაგრამ მათ საკმაოდ დიდი დრო ჰქონდათ კარიერული წინსვლისთვის...

ძალიან მომწონს, რომ ბოლო წლებში ძირითადად საათებს კათედრები ანაწილებენ და ამ მხრივ პრეტენზიებმა იკლო. საათების მომატება პედაგოგს იმიტომ არ უნდა უნდოდეს, რომ ხელფასი გაეზარდოს, შედეგზე უნდა იყოს ორიენტირებული. როცა 22-24 საათი აქვს და კიდევ ითხოვს, ასეთი სიხარბე მიუღებელია. მიმაჩნია, რომ საბაზისო ხელფასი უნდა მოემატოთ და არა საათების ხარჯზე. გამოიცხვია ბევრი საათი ჰქონდეს და გაკვეთილს ყველგან ხარისხიანად ატარებდეს, შეუძლებელია ამ დატვირთვით შედეგის მიღწევა.

- დირექტორების არჩევნებს როგორ შეაფასებთ?

- 2014 წელს დირექტორების არჩევნებს ჩვენი დამკვირვებლები ესწრებოდნენ. წელს კი, არც სამინისტრომ მიგვიწვია და არავინ, გაცვებულ ვარ! თუ მიგვიწვევდნენ, აუცილებლად ყველა პროცესში ჩავერთვებოდით. გადაწყვეტი სიტყვა შეიძლება არ გვეთქმის, მაგრამ პროცესს ვაკვირდებით. არც ის მოგვეწონა, რომ სკოლების უმრავლესობაში თითო კანდიდატი

იყო წარდგენილი და არჩევანის შესაძლებლობა არ იყო. პროცესით ხალხი დაზარალდა, მაგრამ თუ რომელიმე სამართლებრივ ბრძოლას აპირებს, პროფკავშირის იურიდიული დეპარტამენტი გვერდით დაუდგება სასამართლო ინსტანციებშიც და პროტესტის გამოსატყობიც. გაკვირვებული ვარ იმითაც, რომ ბევრი კარგი კანდიდატი კონკურსის მიღმა დარჩა, არადა მათ მოიპოვეს სერთიფიკატი და საუკეთესოები არიან. რატომღაც მგონია, რომ სამინისტრო დანიშნავს არჩევნების კიდევ ერთ ეტაპს. მასწავლებლის პრობლემას ჩვენ საკუთარ პრობლემად ვთვლით, მაგრამ როცა მათ რაღაც არ მოსწონთ, ამის შესახებ ღიად უნდა დააფიქსირონ. თუ არჩევნებში ჩართულ პირებს რაიმე უკმაყოფილება აქვთ, უნდა თქვან ამის შესახებ. მოარულ ხმებზე დაყრდნობით ვერ ვიმსჯელებთ.

ერთი მხრივ კარგიც კი არის, რომ დაფიქსირდა შემთხვევა, როცა სამეურვეო საბჭო კანდიდატს მხარს არ უჭერს. ეს დემოკრატიის მაჩვენებელია და მაინცნებს, რომ ადამიანებს პოზიციის დაფიქსირება თამაზად შეუძლიათ. ნუ მიაწერენ ამას პოლიტიკას. ჩემი აზრით, არც ისაა სწორი, იმ წერების ვინაობა ვეძიოთ, რომელმაც არ დაუჭირა მხარი. არაფერი სანინა-აღმდეგო არ მაქვს ნინო სულიაშვილის მიმართ და აქ პროფესიული მომენტით არაფერ შუაშია, მაგრამ მიმაჩნია, რომ როცა წ წვერიდან სამი მხარს არ გიჭერს, ეს დასაფიქრებელია. გაზეთში თავად წერს, ერთმა პედაგოგმა ისეთი რამ მოხოვა, რაც არ შეიძლებოდაო. თუ ასე იყო, მაშინ ისიც უნდა ითქვას, ისეთი რა თხოვდა ჰქონდა, რისი თქმაც არ შეიძლება და დაეკონკრეტებინა.

ზემო მაჩხანის სკოლის შემთხვევაში მოქმედ დირექტორს კიდევ ჰქონდა დარჩენის სურვილი, მაგრამ მისი კანდიდატურა სამინისტრომ აღარ წარადგინა. არადა, მათ ხუნაშვილი სოფელ არბოშიკის მკვიდრია, ამ სოფელში კი სკოლის დირექტორის თანამდებობა თავისუფალია. მას სხვა სოფელში არ სურდა კენჭისყრა, თუმცა მე როცა შევხვდი, ვურჩიე, რომ არბოშიკშიც წარდგინა საკუთარი კანდიდატურა. ის მართლა ძლიე-

რი დირექტორი იყო და არ უნდა დარჩენილიყო თამაზმარე მდგომარეობაში. ზოგ დირექტორს ისიც არ აქვს გაცნობიერებული, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მედიასთან როგორ უნდა ითანამშრომლოს. ხუნაშვილი ყველასთან კარგად თანამშრომლობდა. ჩემი აზრით, ეს რეალობა იმიტომ დადგა, რომ მან არბოშიკში არ წარადგინა საკუთარი კანდიდატურა, რაც სწორი არ იყო.

- სკოლების ავტორიზაცია საკმაოდ ხანგრძლივი და პრობლემატი პროცესია, რამდენიმე სკოლამ უკვე გაიარა, ზოგიც ახლა გეგმავს...

- რაკი ევროკავშირისკენ ვისწრაფვით, ფეხი უნდა ავწყუთო ყველაფერს. მაგალითად ზოგიერთ სკოლაში შესაძლოა უმაღლესი სტანდარტის ლაბორატორია მოაწყონ, მაგრამ შესაბამისი კადრი არ იყოს, რომ სათანადოდ გამოიყენონ. ავტორიზაცია ამიტომაც აუცილებელია, რომ ინფრასტრუქტურაც და საკადრო რესურსიც ერთმანეთთან თანხვედრაში იყოს. ავტორიზაციის პროცესი პედაგოგებისგან წარმოუდგენელს არაფერს ითხოვს. უბრალოდ, ახლა სხვადასხვა სახელები ეწოდა, თორემ დაახლოებით ასეთ საქმეს პედაგოგი ყოველთვის აკეთებდა. ძველი თაობის პედაგოგი ვარ და 30 წელი ვიმუშავე სკოლაში, გაკვეთილის გეგმას, შემავაშებლებს, ამგვარ დავალებებს ყოველთვის ვწერდით.

ახლა კი მიჩნევენ, რომ გართულბებულა. მასწავლებელმა განუული სამუშაო პორტფოლიომი თუ ასახა, ამით რა შედეგება? უკეთესი არ არის? ავტორიზაციის გავლა ნიშნავს უსაფრთხო სკოლასაც. ჩემი აზრით, პირველ რიგში მოსწავლეთა უსაფრთხოება უნდა ექცეოდეს ყურადღებას.

- პროფკავშირის როლი პედაგოგთა ცხოვრებაში...

- 2008 წლიდან ვარ სამთავ დედოფლისწყაროს რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე. ჩემი მისვლისას წევრები თითქმის აღარ იყვნენ, ხელახლა მოვკრივე. ახლა 570 წევრი მყავს, ვცდილობ ყველაფერში აქტიური ვიყო. მათ პროფესიულ ზრდასაც ხელს ვუწყობთ. ამჟამადაც მიმდინარეობს 120 საათიანი ტრენინგი, რომელსაც განათლების ექსპერტი უძღვება



და დედოფლისწყაროდან 111 მასწავლებელი მონაწილეობს. ეს კურსი სამუშაოებს მისცემთ ცოდნა გაიდრმაკონ. რა მოდულიც მუშავდება და რა საჭიროებაც მასწავლებლებს აქვთ, ვცდილობთ ვიზრუნოთ. თუკი რამ სიახლე იყო, მაქსიმალურად ვეცადე ყველა ტრენინგი დედოფლისწყაროში ჩამოსულიყო და ადგილობრივ მასწავლებლებს შეეძლოთ წვდომა. მომავალშიც მზად ვართ განათლების ხარისხის ამაღლებაზე ვიზრუნოთ. ამისათვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო პროფკავშირების პრეზიდენტს, მათა კობახიძეს, რომელიც მუდმივად გვერდში გვიდგას და მისი თანადგომით ბევრი იდეა ხორციელდება როგორც სასწავლო პროცესში, ისე არდადეგებზე, პედაგოგთა შეღავათიანი პირობებით დასვენებისთვის.

- 27 ოქტომბერს მასწავლებლის ეროვნული დღე დაწესდა, რომელსაც წელს პირველად ვხეიმობთ...

ქართველებს ყველაფრის ორჯერ აღნიშვნა გვიყვარს და კარგია რომ 5 ოქტომბერს მასწავლებლის საერთაშორისო დღე იქნება და 27-ში ეროვნული დღე. რაც მეტი დღე დაეთმობა მასწავლებლებს, უკეთესია, ნეტავ 365-ივე დღე იყოს მასწავლებლის... ბედნიერი ვიქნები, ჩემი კოლეგები რაც მეტად დაფასებულნი იქნებიან. მასწავლებლებს პროფკავშირის სახელით ხშირად ვუკეთებთ ხოლმე სიმბოლურ საჩუქრებს. ახლაც მინდოდა ეროვნულ დღესთან დაკავშირებით ლამაზი საღამო მომეწყო, გამეზარებინა ისინი და საჩუქრები გადამეცა, მაგრამ რადგან მწირი ბიუჯეტი გვაქვს, გადაწყვიტეთ ეს ფული ამჯერად ტრენინგზე პედაგოგების კვებას მოხმარდეს და საჩუქრები სამომავლოდ გადავდოთ. თუმცა, მე ჩვენს წევრებს პირობას ვაძლევ, რომ როგორც კი თანხა მოგროვდება, მათ აუცილებლად ვაგუკეთებ საჩუქარს.

ახლა, სკოლებმა მასწავლებლის ეროვნულ ჯილდოზე მასწავლებლები წარადგინეს და თქვენ წარმოიდგინეთ, ინფორმაცია არ გვაქვს და არსად თქმულა, რომელი სკოლიდან ვინა წარდგინილი. მივივრო, რატომ არ ამბობენ, დასამალია?... მხოლოდ ქალაქ დედოფლისწყაროს №1 და №2 სკოლის პედაგოგების წარდგენის შესახებ გავიგე. ეკა სეფიაშვილი და მარინა შანშაშვილი. ეს პროცესი ღია რომ იყოს, უფრო მეტ მხარდაჭერას გამოვსატავდით და პროფკავშირის მხარდაჭერა უფრო მეტ რეზონანსს მიაღწევს...

ესაუბრა ილია მარტყოფლიშვილი

რამდენად უპნაბელია სურსათი დედოფლისწყაროში?

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში მდებარე საჯარო ობიექტებისა და საწარმოების შემოწმების ანგარიშს აქვეყნებს სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორების დეპარტამენტი. ანგარიშში მიმდინარე წლის მესამე კვარტლის შედეგებია მოცემული. როგორც სააგენტო იტყობინება, ქალაქ დედოფლისწყაროში ასევე ჩატარდა მსხვილი ქსელური სუპერმარკეტების ადგილობრივი ფილიალების ინსპექტირებაც. სპეციალისტებმა ობიექტების სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა შეისწავლეს.

2 აგვისტოს, სურსათის სააგენტოს ინსპექტორთა ჯგუფმა, გეგმიური მონიტორინგის დროს შეამოწმა დედოფლისწყაროში მოქმედი შემდეგი ობიექტები: პურების მწარმოებელი მწარმოებელი შპს „ლაბანა“, სოფელ ხორნაბუჯში მდებარე ბესიკ თოფჩიშვილის შპს „ნოვაკომ“, სოფელ სამრეკლოში მდებარე ემზარ ხატიასვილის შპს „სამრეკლო 2022“ და ქ. დედოფლისწყაროში 1 მაისის ქუჩაზე №39-ში მდებარე ნედლი რძის საწარმო. როგორც ინსპექტორების დასკვნაშია აღნიშნული, ყველა მათგანში დაფიქსირდა არაკრიტიკული შეუსაბამობები, რომელიც მძიმე კატეგორიას არ მიეკუთვნება და საწარმოებს მიეცათ ვადა ინსპექტორების შენიშვნების მოკლე ვადებში აღმოსაფხვრელად. იგივე საწარმოები და მათი რძის ნიმუშები შემოწმდა ცალკე-ცალკე. მაგალითად თითო საწარმო თუ ბევრი ნერტილიდან მარაგდება რძით, ამ შემთხვევებში ყველა რძის ნიმუში ცალკე შემოწმდა ბრუტელოზის, ტყვიისა და სხვა დამაბინძურებლების შემცველობაზე. მაღალკვალიფიციური კვლევების შედეგად ხსენებული ობიექტების რძის ნიმუშებში არცერთი მაცვნი მავნე ნივთიერება აღმოჩენილი არაა.

ქტების რძის ნიმუშებში არცერთი მაცვნი დაბინძურება არ გამოვლენილა. 16 აგვისტოს შემოწმდა ზემო მაჩხაანში მდებარე სიმონ ტოკლიკიშვილის ცხოველთა სასაკლაო შპს „ქართული პროდუქტი“. ასევე ინსპექტორებმა იმუშავეს ქალაქ დედოფლისწყაროში ნიკორციხის ქუჩაზე რეგისტრირებულ მოდებაძეების შპს „რძის ქალაქში“. ორივე მათგანში არაკრიტიკული დარღვევებია დაფიქსირებული, რომელთა შესახებ საწარმოებს ინსპექტორებმა შენიშვნა მისცეს და მათი აღმოფხვრა დაავალეს. ხოლო სოფელ გამარჯვებაში მდებარე ვაჟა ნატროშვილის შპს „ტრანსკომპარისი“ ცხოველთა სასაკლაოში მცირე, არაკრიტიკული შეუსაბამობებიც არ დაფიქსირებულა. სასაკლაოში ინსპექტორების დადებითი შეფასება დაინახა.



სურსათის სააგენტოს ინსპექტორები დედოფლისწყაროს 29 აგვისტოსაც ეწვივნენ. ქალაქ დედოფლისწყაროში, გურამიშვილის 30-ში მდებარე ფრინველთა სასაკლაოსა და შირაქის ქუჩაზე რეგისტრირებულ ნონა ნატროშვილის ნედლი რძის

მწარმოებელ შპს „ნატურალ ჰაბი 1“-ის შემთხვევაშიც ინსპექტორებმა მხოლოდ მსუბუქი, არაკრიტიკული შენიშვნები დააფიქსირეს და ხელმძღვანელებს მათი აღმოფხვრის რეკომენდაციით მიმართეს. 31 აგვისტოს ქალაქ დედოფლისწყაროში 4 მსხვილი ქსელური სუპერმარკეტი შეამოწმეს. სურსათის სააგენტოს სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმების შედეგად, „ორი ნაბიჯის“, „იოლის“ და რითილ ჯგუფის ქსელური მარკეტები, „მანა-ტის“ ორივე ფილიალში არცერთ მათგანში არაკრიტიკული შეუსაბამობა არ აღმოჩენილა.

27 სექტემბერს გეგმიური შემოწმებისას ქ. დედოფლისწყაროში, აღმაშენებლის №3-ში რეგისტრირებული, სამედრო დასახლების ტერიტორიაზე მდებარე კაფე-ბარშიც აღმოჩნდა არაკრიტიკული შეუსაბამობები. ამასვე დღეს არაგემიური, განმეორებითი ვიზიტი განახორციელეს შპს „ლენკაში“. ამ საწარმოშიც განმეორებითაც დაფიქსირდა მცირე, არაკრიტიკული შეუსაბამობები. ორივე ობიექტს ვითარების გასაუმჯობესებლად სურსათის სააგენტოს სპეციალისტებმა რეკომენდაციები მისცეს.

გაზეთი „შირაქი“ დედოფლისწყაროში მოქმედი საწარმოების პოზიციითაც დაინტერესდა და შენიშვნებთან დაკავშირებით რამდენიმე მათგანს ესაუბრა. ყველა მათგანი აღნიშნავს, რომ სპეციალისტების შენიშვნებს ითვალისწინებენ.

ქალაქიდან რაღაცაა დასრულებული?
 („ლენკას“ დამფუძნებელი): „ყოველთვის ვითვალისწინებ რეკომენდაციებს და საწარმოში ყველაფერი წესრიგში მაქვს. მათი შენიშვნები მისაღებია. რაც შეეხება შენიშვნებს, ლაბორატორიული ანალიზები ნიმუშები უკვე მქონდა ჩაბარებული და ჯერ პასუხები არ მქონდა მიღებული. შესაბამისად, ლაბორატორიული დასკვნა ვერ წარუვადგინე სურსათის უვნებლობის სამსახურს. რაც შეეხება სიახლეებს, ამერიკული კომპანია ლენ-დოლეის პროექტის დაფინანსებით შევიძინე ახალი დანადგარები, კერძოდ ნადულის სახარში ქვაბი, შესაბამისი დანადგარი და პროფესიონალური კერხები, ჩვენი თანამონაწილეობის კუთხით კი გავზარდეთ საწარმოს ფართი 80 კადრატული მეტრით. ჩვენს წარმოებას დაგამატეთ არაუარსი. ამჟამად ასევე ვწარმოებთ სულგუნს, იმერულ ყველს, შებოლილ სულგუნს, კარაქს და ნადულს. მიმდინარე წელს გასული წლის მონაცემებს თუ შევადარებთ, გაყიდვების კუთხით დიდი სხვაობა ნამდვილად არ არის“.

როგორც ანგარიშშია ნათქვამი, მესამე კვარტალში სურსათის ეროვნული სააგენტოს ჯგუფები სხვადასხვა რეგიონში, რაიონულ ცენტრებსა, თუ ცალკეულ სოფლებში სასმელის წყლის რეზერვუარებისა და სათავე ნაგებობების სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობასაც ამოწმებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ დედოფლისწყაროში სასმელი წყლის ფერსა და ხარისხზე პრეტენზიები ხშირად იმის, სურსათის სააგენტოს სპეციალისტებს ამჯერად დედოფლისწყაროს რეზერვუარი, ან სათავე ნაგებობების მონიტორინგი არ განუხორციელებიათ.

ხორბლის ძველი ჯიშების აღდგენა და მივიწყებული პურის გემო

გასულ კვირას რაბათის ციხეში პურის ფესტივალზე ჩატარდა, რომელიც ბიოლოგიურ მუღრნობადა ასოციატია „ელკანას“ და ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით მოეწყო. მასში დედოფლისწყაროში ახლადდაფუძნებული პურის საწარმოც იღებდა მონაწილეობას. ღონისძიების მიზანი იყო, ტრადიციული პროდუქტების, მათ შორის ადგილობრივი პურისა და ქართული ხორბლის ჯიშების პოპულარიზაცია.

ჩვენს ეპარქიაში მოღვაწე ღვთისმეტყველები 20 წლის წინ დაინტერესდა ხორბლის ძველი ჯიშების აღდგენით და დედოფლისწყაროში მივიწყებული ჯიშები დათესა. წლების მანძილზე ინტერესი უფრო გაღრმავდა. ახლა კი ჯინაშვილების ოჯახში სახელმწიფო პროგრამით, „ანარმოდ საქართველოში“ დაფინანსება მიიღო და საცხოვრის ამოქმედება შეძლო. პურის სახლი „მადლიანი“-ს საწარმო სულ მალე ამოქმედდება და დედოფლისწყაროელებს პურის დაინყებულ სუნისა და გემოს დაბრუნებას პირდება. საწარმო უარს ამბობს ცომის თანამედროვე მეთოდებით გაფუჭებაზე და ამისთვისაც ტრადიციულ, მივიწყებულ მეთოდებს იყენებს.

სად მოჰყავთ ხორბლის იშვიათი ჯიშები, რა გემოვნური თვისებებით გამოირჩევა ისინი და რა გემოები აქვს პურის სახლს „მადლიანი“, ამ საკითხებზე გაზეთი „შირაქი“ ჯინაშვილების ოჯახის წევრებს ესაუბრა.

ილია ჯინაშვილი: „სწორედ ფესტივალის მიზნებმა და ფორმატმა განაპირობა ჩვენი დაინტერესება. შევიტყვეთ ფესტივალის შესახებ და ჩვენი ინიციატივით დაფუკავშირდით ორგანიზატორებს, რათა ნავსულოყავით და მონაწილეობა მიგველო. გვინდოდა სხვა რეგიონისთვისაც გაგვეცნო ჩვენი პროდუქტი. ჩემი ოჯახი უკვე 20 წელია ბიოლოგიური მეთოდების გამოყენებით აწარმოებს მივიწყებულ, ძველი ქართული ხორბლის ჯიშებს „ნითელ დოლს“ და „შაფუხას“. ხორბალი დედოფლისწყაროში იყავს, ე.წ. „მწარე წყლის“ ტერიტორიაზე. ჩვენს ოჯახს მუდმივად აწარმოვდა კითხვა, თუ რატომ აღარ აქვს პურის ის სურნელი და გემო, რაც წინათ, გავს ბავშვებს იღია და დაინყო ქართული ჯიშის სურნელის მოძიება. ღმერთმა

შეგვასხვედრა დიდებულ ქართველ კაცს ირაკლი რეხვიამვილს, რომელსაც შენახული ქონდა ყველასგან მივიწყებული ძველი ქართული ხორბლის ჯიშები. ასე დაინყეთ ძველი ქართული ხორბლის ჯიშების მოყვანა. შემდეგ ბებოს ვთხოვეთ გაეხსენებინა ბუნებრივი საფუარის დამზადების ტექნოლოგია. უარი ვთქვით თანამედროვე საფუარის გამოყენებაზეც. დაინყეთ პურის ცხობა და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ მოვედით აქამდე. აღნიშ-



ნული ხორბლის ჯიშებისგან მიღებული ფქვილით დამზადებული პური გამოირჩევა გემოვნური და სურნელოვანი თვისებებით. ასევე აღსანიშნავია ის რომ, პურის გაფუჭება ხდება ყურძნის მჭარისაგან და სვისი ყვევილისგან მიღებული ბუნებრივი საფუარი. სწორედ ასეთ გემოვან პურს ვაცხობთ ჩვენ ოჯახში, თუმცა აქამდე ამ პურის დაგემოვნება მხოლოდ ჩვენსავე ოჯახში იყო შესაძლებელი. წლების მანძილზე გვქონდა საცხოვრის გაკეთების დიდი სურვილი, რათა სხვებსაც გავცნოთ და გავსინჯათ ჩვენი პური. გარკვეული მიზეზების გამო ეს ამ დრომდე ვერ მოხერხდა, წელს კი სახელმწიფო პროგრამის „ანარმოდ საქართველოში“ დახმარებით

დედოფლისწყაროს სოფელ სამრეკლოში ავაშენეთ საცხოვრის, რომლის მოწყობაც უახლოეს მომავალში დასრულდება. თუმცა, სანამ საცხოვრის გაიხსნება, გადაწყვიტეთ მანამდე გავგვეცნო საზოგადოებისთვის ჩვენი პური. სწორედ ამის საშუალება მოგვცა ახალციხის ფესტივალმა. ამჯერად გამოფენილი გვექონდა ძველი ქართული ხორბლის ჯიშებისგან (ნითელი დოლი და შაფუხა) მიღებული ფქვილით დამზადებული

12 სხვადასხვა სახეობის პური. რაც შეეხება სტუმრების შთაბეჭდილებებს, პურის ფესტივალზე უკვე შევექმით მომხმარებლის გულის მოგება და დავამახვირეთ თავი ჩვენი გამოჩენილი პროდუქტით. რაც შეეხება ჩვენს სამომავლო გეგმებს – დასაწყისისთვის რეალიზაციას დედოფლისწყაროში მოვახდენთ, თუმცა ვფიქრობთ, სამომავლოდ ეს მამულებიც გაიზრდება. მოთხოვნა უკვე არის და ბევრი ადამიანი ელოდება საცხოვრის გახსნას, რადგან არა მხოლოდ გემოვნური თვისებებით არის გამოჩენილი ეს პური, არამედ ჯანმრთელობისთვისაც სასარგებლო და უვნებელია. ვისაც ერთხელ მაინც გაუხსნავს ეს პური, დაინტერესებას

მაშინვე გამოქმედება და გვეკითხებიან ხოლმე, თუ სად შეიძლება მისი შექმნა“.

საითხა ოჯახილი: „მინდა გააცნოთ პურის ჩვენური რეცეპტი. პურს ვაცხობ რქანთელის მაჭარის საფუარით. მაჭარს დუღილის აქტიურ პერიოდში ვიღებ, დაახლოებით მესამე მეოთხედღეს. ვწურავ მის წვეს და ვხელ ქატოთი. ერთ ლიტრ მაჭარის წვეს ვუმატებ ერთ კილო ხორბლის ქატოს. ვხელ და შემდეგ ვაკეთებ 40-50 გრამიან ბურთულებს და ვაშრობ ჰაერზე. ისე, რომ არ დაობდეს. 2 ლიტრი მაჭარისგან დამზადებული საკმარისია ერთი წლის მარაგის შესაქმნელად. შემდეგი ეტაპია ხაშის დამზადება. გამომშრალ საფუარს ცხეხავ და ვუმატებ ერთ ჭიქა თბილ წყალს 38-40 გრადუსს. ნელ-ნელა ვუმატებ ფქვილს, რომ მივიღოთ საშუალო ცომის მასა. ვურევთ ერთმანეთში, ვფუთავ თბილად, 10-12 საათით. შემდეგი ეტაპი პურის ცომის მოხელაა. ეს მასა მოხელს 3-4 კგ ფქვილს. ფქვილს ვასხავ ამ ხაშს (ხაში არ უნდა გაცივდეს და მომატებული მასა უნდა იყოს.) ვხელთ ცომს მარილიანი თბილი წყლით. ნითელი დოლის ფქვილი როგორი მაგარიც არ უნდა მოხილოთ, შემდეგ მაინც ჩვილდება ცომი. შაფუხის ხორბლისგან გამოდის მსუბუქი ჰაეროვანი ცომი, მაგრამ ამ ჯიშის ხორბალს არ აქვს თეთრი ფქვილი. ის მოყვითალოა. ცომი უნდა მოვზილოთ 38-42 გრადუსის წყლით. გააჩნია ფქვილის ტემპერატურას. სასურველია ფქვილი იყოს ოთახის ტემპერატურის. მოხელის შემდეგ ვფუთავთ თბილად. ამ ხორბლის ჯიშებს ჭირდება ნითბო (ცივი ფერმენტაციითაც ხელენ, მაგრამ მას დიდხანს აფუხენ). დაახლოებით საათნახევრის შემდეგ გადავდებთ ცომს. 2—2,5 საათში ცომი გაფუჭებულია. ეს ცომი მოცულობაში თითქმის არ იმატებს. შემდეგ ვაცხობთ, თუმცა, არ გამოდის ძალიან ფუმფულა პური. მაგრამ გემრიელი და ბუნებრივია. გამოცხობისას ყოველთვის ვინახავ პატარა გუნდას და მეორე მოხელისას მას ვაქტიურებ და ვაცხობ. საფუარს ყოველთვის არ ვხმარობ. იმ გადანახულ გუნდას ვიყენებ და ყოველი მოხელის შემდეგ ასე ვიქცივი“.

გვერდი მოამზადა ილია მარტყოფლიშვილი

დედამინა ქაოსის პოლოდიონი

დედამინის სისტემაზე ადამიანთა აქტივობის ზემოქმედებამ შეიძლება არაპროგნოზირებად ქაოსამდე მიგვიყვანოს, საიდან გამოსვლაც შეუძლებელი იქნება. ამის შესახებ ფიზიკოსთა ახალი გამოთვლები მიუთითებს.

ზეგამტარობის მოდელირებისთვის შექმნილი თეორიის გამოყენებით, პორტუს უნივერსიტეტის ფიზიკოსთა ჯგუფმა აჩვენა, რომ გარკვეული ნერტილის შემდეგ, დედამინის კლიმატის ნონასნორობის აღდგენას ვეღარ შევძლებთ.

ადამიანის აქტივობის გარკვეულმა რაოდენობამ, დედამინა შეიძლება ერთ დიდ სათბურად აქციოს, საიდან გამოსვლაც შეუძლებელი იქნება.

„კლიმატის ცვლილების შედეგები კარგად არის ცნობილი (გვალეები, სითბური ტალღები, ექსტრემალური ფენომენები და ა. შ.). თუკი დედამინის სისტემა ქაოსური ქცევის რეგიონში შევა, პრობლემის როგორღაც გამოსწორების ყველანაირი იმედი გაქრება“, – ამბობს ფიზიკოსი ორფეუ ბერტოლამი.

უკვე რამდენიმე წელია, ამინდის ექსტრემალური მოვლენები უფრო რეგულარულად ხდება. გიზგიზებს ტყის ხანძრები, მძვინვარებს შტორმები, ტემპერატურა ახალ რეკორდებს იპყრობს. კლიმატური მეცნიერები დიდი ხანია გვაფრთხილებენ, რომ ეს ადამიანის საქმიანობის შედეგია, მაგალითად, ნიალისეული საწვავის წვის, ტყის ჩეხვისა და საოფლის მეურნეობის ზრდის.

ამის გამო, გაჩნდა მოსაზრება, რომ დაიწყო ახალი გეოლოგიური ეპოქა: ანთროპოცენი – ხანა, რომელშიც ადამიანის საქმიანობამ მნიშვნელოვანი და გამომხატული გავლენა იქონია დედამინის მთელ სისტემაზე, რომელიც შედგება გეოსფეროს, ბიოსფეროს, ჰიდროსფეროსა და ატმოსფეროსგან.


ანთროპოცენი პოლოცენს უნდა მიჰყოლოდა, რომელიც დაახლოებით 11 700 წლის წინ დაიწყო; მეცნიერთა ვარაუდით, ანთროპოცენი დაახლოებით მე-20 საუკუნის შუა პერიოდში დაიწყო, ბირთვული ეპოქის პიკში. მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელმა, ალექს ბერნარდინიმ და მისმა კოლეგებმა პოლოცენიდან ანთროპოცენზე გადასვლის მოდელირება ფაზური გადასვლის სახით გადამწყვეტეს და ამის შესაბამისად გამოთვალეს მისი მომავალი ტრაექტორია.

ფაზის გადასვლები ძალიან ხშირია. ეს ტერმინი აღნიშნავს, როგორ იცვლება მასალა ერთი მდგომარეობიდან მეორეში. მყარი სითხედ დნება, სითხე კი აირად გარდაქმნება. ლითონი ნორმალური მდგომარეობიდან ზეგამტარ მდგომარეობაში გადადის. თითოეულ მათგანს აქვს გარდამტეხი ნერტილი, რომელზეც ნონასნორობის მდგომარეობა ღრმა გადასვლას განიცდის სხვა მდგომარეობაში.

დედამინის სისტემა მატერია არ არის, მაგრამ კვლევა აჩვენებს, რომ ფაზური გადასვლის მოდელი შეიძლება გარკვეული ნარმატებით გამოვიყენოთ კლიმატის ცვლილებების პროგნოზირებისთვის. ბერნარდინიმ და მისმა კოლეგებმა გინზბურგ-ლანდაუს თეორია გამოიყენეს, რომელიც ზეგამტარობის მოდელირებისთვის არის შექმნილი და ის ანთროპოცენს მოარგეს ტემპერატურის მიხედვით, პოლოცენის ნონასნორობის ნერტილიდან დაწყებული.

ახლა ადამიანის გავლენა შეზღუდულია. დედამინას აქვს საცხოვრებელი სივრცის შეზღუდული რაოდენობა, რესურსების შეზღუდული რაოდენობა და შეზღუდულია ჩვენ მიერ მათი გამოყენების მაჩვენებელიც. ამ მაქსიმალური ტევადობის გათვალისწინებით, მკვლევრებმა გადაწყვიტეს, ანთროპოცენის ფაზური გადასვლის შესაძლო შედეგები ლოგისტიკური რუკის გამოყენებით აღვწერათ; ეს გახლავთ ინსტრუმენტი, რომლითაც შეიძლება შევისწავლოთ, რამდენად კომპლექსური შედეგები და თუნდაც ქაოსი შეიძლება განვითარდეს ამ მარტივი ნერტილიდან.

როგორც მათმა შედეგებმა აჩვენა, სულაც არ მივემართებით გარკვეული კლიმატური აპოკალიფსისკენ. შეიძლება მივუყვებოდეთ საკმაოდ რეგულარულ და პროგნოზირებად ტრაექტორიას, რომლის სასრული ნერტილიც არის კლიმატის სტაბილიზაცია იმაზე



მაღალ საშუალო ტემპერატურულ ნერტილზე, რომელიც დღეს გვაქვს. ეს კი მაინც არაა კარგი, თუ გავითვალისწინებთ იმ სასიკვდილო ეფექტებს, რასაც უკვე ვხედავთ ადამიანებსა და სხვა ცხოველებზე.

თუმცა, უფრო ექსტრემალურ დასასრულში, დედამინას გაჩანაგება ემუქრება. ეს იმას ნიშნავს, რომ დედამინის სისტემა ქაოსურ ქცევაში გადადის – ექსტრემალური სეზონური რყევები და ამინდები – რაც გამორიცხავს სისტემის მომავალი ქცევის პროგნოზირებას და შეუძლებელს ხდის მის შერბილებას. ანუ, სტაბილური კლიმატის დაბრუნება უკიდურესად რთული იქნება, თუ საერთოდ შეუძლებელი არა.

„ადამიანის საქმიანობის მრავალ კომპონენტად დაყოფით, შევისწავლეთ

შემთხვევა, რომლიდანაც მხოლოდ ორი კომპონენტი მიუყვება ლოგისტიკურ რუკებს და ერთმანეთთან ურთიერთქმედებს“, – ნერენ მკვლევრები.

მათი განცხადებით, ამ მარტივ შემთხვევაშიც კი, დედამინის სისტემის ნონასნორობის ნერტილებში ქაოსური ქცევა გამოჩნდა.

ასეთი შედეგი გარდაუვალი არ არის, რაც ნამდვილად გარკვეული შვებაა. თუმცა, როგორც მაკლევერა-ბი აღნიშნავს, საჭიროა, ეს რაღაც რი შესაძლებლობა მხედველობაში მივიღოთ კლიმატის ცვლილების შერბილებისა და დედამინის სისტემის მართვის სტრატეგიების შესაშვებად.

დასავლეთ ანტარქტიდის შელფურ მყინვართა დნობა მომდევნო ათწლეულებში მაინც აჩქარდება იმის მიუხედავად, თუკი გლობალური დათბობის შეზღუდვის ამბიციურ გეგმას შევასრულებთ; ეს ყველაფერი კი ზღვის დონის აწევას გამოიწვევს. ამის შესახებ კიდევ ერთი ახალი კვლევა იუნყება.

მეცნიერები გვაფრთხილებენ, რომ ადამიანებმა გათხელებული შელფური მყინვარების ბედის კონტროლი დაკარგეს; ეს გახლავთ ყინულის კლდეები, რომლებიც ძირითად შელფურ მყინვართა კიდებთან ცურავენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ მათ სტაბილიზაციაში, რადგან მყინვარების ოკეანეში ჩადინებას აკავებენ.

ამ რეგიონში ბოლო ათწლეულებში ყინულის დნობა სულ უფრო სწრაფდება და როგორც მეცნიერები აცხა-

დებენ, დასავლეთ ანტარქტიდის ვრცელი შელფური მყინვარი, რომლის გადნობის შემთხვევაშიც, ოკეანის დონე რამდენიმე მეტრით მაღლა აიწევს. მათივე თქმით, ყინულის ეს შელფი „გარდამტეხ ნერტილს“ უახლოვდება. ახალ კვლევაში, მკვლევრებმა კომპიუტერული მოდელის გამოყენებით დაადგინეს, რომ უახლოეს ათწლეულებში, ოკეანის გათბობის გამო, ყინულის შელფის დნობის აჩქარება გარდაუვალია.

მოდელირების შედეგები დიდნი-

კოლაფსი გარდაუვალია?!

ლად ერთნაირი იყო იმ სცენარშიც კი, რომელშიც სათბურის აირების გამოყოფა შემცირებულია და დათბობა ჯდება პარიზის შეთანხმების საზღვრებში, ანუ გლობალური საშუალო ტემპერატურა ინდუსტრიამდელი პერიოდის მაჩვენებელს 1,5 გრადუსით არ აჭარბებს.

„როგორც ჩანს, 21-ე საუკუნეში დასავლეთ ანტარქტიდის შელფური მყინვარის დნობაზე კონტროლი დაკარგეთ“, – ამბობს კვლევის ავტორი, ბრიტანეთის ანტარქტიკის პროგრამის მეცნიერი კეტლინ ნაუტენი.

კვლევა ჟურნალ Nature Climate Change-ში გამოქვეყნდა და სწავლობდა ამუნდსენის ზღვაში შეტივტივებული შელფური მყინვარების ქვეშიდან დნობას ოკეანის წყლის მიერ.

ალმოჩნდა, რომ საუკეთესო სცენარებშიც კი, ოკეანის გათბობა 21-ე საუკუნეში დაახლოებით სამჯერ ასწრაფდა, ვიდრე ეს მაჩვენებელი მე-20 საუკუნეში იყო.

„ჩვენი სიმულაციის მიხედვით, ახლა ოკეანის სწრაფი გათბობისა და ყინულის შელფის დნობის მომსწრენი ვართ, რაც მთელი საუკუნის ბოლომდე არ შეჩერდება“, – ამბობს ნაუტენი.

მიუხედავად იმისა, რომ მკვლევრებს ზღვის დონის აწევის ზუსტი გავლენების სიმულირება არ მოუხდენიათ, მაგრამ როგორც ნაუტენი ამბობს, „ყველა მიზეზია იმისა“, რომ

საუკუნის ბოლომდე ზღვის დონემ ერთი მეტრით აიწიოს.

„დასავლეთ ანტარქტიდის შელფური მყინვარის დნობა კლიმატის ცვლილების ის შედეგია, რომელთან შეგუება და მორგებაც მოგვინევს“, – ამბობს ნაუტენი.

ამჟამად, პლანეტაზე მრავალი მილიონი ადამიანი ცხოვრობს დაბალ სანაპირო ზონებში, რომლებიც ამის გამო ყველაზე მეტად დაზარალდებიან.

საუთჰემპტონის უნივერსიტეტის ფიზიკური ოკეანოგრაფის პროფესორი ალბერტო ნავეირა გარაბატო ამბობს, რომ ეს კვლევა „გამოსაფხიზლებელი“ უნდა იყოს.

„წარმოაჩენს, როგორ მიგვიყვანა ჩვენმა წარსულის არჩევანმა დასავლეთ ანტარქტიდის შელფური მყინვარის არსებით დნობასთან და ამით გამოწვეულ ზღვის დონის აწევასთან, რის გამოც, გარდაუვლად მოგვინევს ამ ყველაფერთან შეგუება“, – აღნიშნავს გარაბატო.


მკვლევარი იქვე დასძენს, რომ ეს მალევიდარას ზარი უნდა იყოს, რათა თავიდან ავიცილოთ სხვა მწვავე კლიმატური შედეგები, მათ შორის, აღმოსავლეთ ანტარქტიდის ყინულის შელფის დნობა, რომელიც ამჟამად უფრო სტაბილურად გამოიყურება.

კვლევის ავტორთა განცხადებით, სათბურის აირების ემისიების შემცირება ამ საუკუნეში დასავლეთ ანტარქტიდის შელფური მყინვარის დნობაზე დიდ გავლენას უკვე ვეღარ მოახდენს, რასაც თავის მხრივ, შეიძლება უფრო გრძელვადიანი გავლენა ჰქონდეს პლანეტაზე.



გამორჩენილი ადამიანები - ნიკო მაზიაშვილი

ზემო მარხაანი ერთ-ერთი იმ სოფელთაგანია, რომელიც სადაც ადრე, მტრის შემოსევებისგან შენახულნი მოუვალ ადგილებს შეეხებნენ. ცივგომბორის კალთებზე შეფენილ სოფელს დიდხანს სტანჯავდა უგზობა და უწყლოობა. ალბათ გსმენიათ: „მარხაანზე ავიარე, წყალი იყო მეთად ძვირი“.



ნიკო მაზიაშვილი

გუდანაბადაკრულები, ურმით თუ ფეხით 20-40 კილომეტრზე დაიარებოდნენ, სადაც მათი კალი და საბძელი, ცხვარი და ძროხა იყო. ორივე დესეტინას (დესეტინა ძველებური მიწის საზომი ერთეულია, უდრის 1,09 ჰექტარს. გამოიყენებოდა მეტრული სისტემის შემოღებამდე) თუ მოხნავდნენ კავით და ხარ-გუთნით. სიღარიბე და შიმშილი, უმეცრება იყო მათი ხედილი. ერთი სავაჭრო დუქანი და ორკლასიანი სკოლა დაქირავებულ ბინაში - ეგ იყო და ეგ სოფლის ავლადიდებდა.

ვერც შიშინაობას და ვერც სიღარიბეს ვერ გაეტეხა ბრძოლასა და შრომაში ნატან-ვერ და ნამაგარი ქიზიყელი გლეხკაცი. „ზემო მარხაანელი ვარო!“ - ისე ომანინად გიპასუხებდა კითხვაზე, თითქოს ჩოხაში გადაცემული გენერალიაო. შესახედავად ბრგე, ჯანლონით სავსე, ლამაზი, გულადი! - ასე უნდა წარმოვიდგინოთ ზემო მარხაანელი კაცი.

ამ სოფლის ისტორიასთან განუყოფლად არის დაკავშირებული ნიკო მაზიაშვილის სახელი. ვერც ბოლოა კულაქების მუქარამ, ვერც ხელმოკლეობამ და სიღარიბემ, ვერც დაუღებარმა შრომისმოყვარეობამ და უძილო ღამეებმა ვერ გატყუეს მისი გული.

ნიკო მაზიაშვილი დაიბადა 1902 წლის 5 თებერვალს, სიღნაღის მაზრის სოფელ ტიბანში. (მაშინ წითელწყარო სიღნაღის მაზრაში შედიოდა და მხოლოდ 1938 წელს გამოეყო) მის მამას, პეტრე მაზიაშვილს თანასოფლელები პატივს სცემდნენ, როგორც კარგ ვაჟკაცს და მშრომელ ადამიანს. ცდილობდა 5 შვილი პატიოსან, გამრჯე ადამიანებად აღეზარდა. პატარა ნიკო მშობლებმა დაწყებით სკოლაში მიიბარეს. „ამით დამთავრდა ჩემი უნივერსიტეტი“ - იტყვოდა ხოლმე ნიკო მაზიაშვილი.

„13 წლის ვიყავი - იგონებდა ნიკო - როცა დედოფლისწყაროში რუსული სკოლის 4 კლასი დავამთავრე, მაჩვენებდა იქვე ერთ შეძლებულ ვაჭარს მოვამაგირედ მიმაბარა. „ვაჭრობას ისწავლის, უტანჯველად თავისთვის ლუკმა ექნებაო.“ - იტყვოდა ხოლმე მამაჩემი, მაგრამ ეს მხოლოდ ოცნებად დარჩა. უფულო და უპატრონო კაცს საქონელს ან დუქანს ხელში ვინ ჩამიდებდა. მე ჩემი ბედი ისევ სოფელს დაუვკავშირე. მამაჩემს ამოუღდექი მხარში.

განაფხულის ერთ საღამოს პაპამ ხელი ალერსით თავზე გადამისვა და მითხრა: „უკვე ვაჟკაცი ხარ, დროა მინდორში გახვიდე. ხვალ ხვნას ვინცებო, დილის მეხრეობა შენ უნდა იკისროო“. პაპას საკუთარი ხარ-კამეჩი ჰყავდა და რაკი გუთნულოც საკუთრად გამართა, კვალში ჩამდგარი ხან მე, ხან მამაჩემს გახარებული მოგვძახოდა: „ზედა ბიჭო, ზედა კვალი არ გამიმრუდოო“. იმ ზაფხულს ბარაქიანი მოსავალი მოვიდა და როცა ხორბლისა და ქერის ნათესები მოსამკვლად შედურდა, პაპამ ნამგალიც მიყიდა და გვერდში ამომიყენა“.

13 წლისას საბჭოთა ხელისუფლებამ მოუსწრო. ნიკომ წერა-კითხვაც კარგი იცოდა და ანგარიშიც. რუსულსაც ხომ სოფელში ყველაზე კარგად ლაპარაკობდა. მარხაანში პირველი სამომხმარებლო კოოპერაცია რომ დაფუძნდა, გამგეობის შემადგენლობაში შეიყვანეს და სოფლის მალაზია ჩააბარეს. ეს იყო 1924 წელს, ხოლო 1926 წელს კი 20-მდე უღარიბესმა გლეხმა მიწის საზოგადოებრივად დამუშავებელი ამხანაგობა შექმნა, რომელიც ჯერ სასოფლო-სამეურნეო არტელად, შემდეგ კი კოლმეურნეობად გარდაიქმნა. წინამძღოლად ნიკო მაზიაშვილი აირჩიეს. თუმცა, მიწები და პირუტყვის უმრავლესობა კულაქებს და ბოლოა გლეხებს ეკუთვნოდა, რომელთაც ნიკო მაზიაშვილი გულზე არ ეხატებოდათ.

„ცალ ხელში ნამგალი მეჭირა და მეორეში შაშხანაო“ - იგონებდა იგი. ერთ ბნელ ღამეს მინდვრიდან დაბრუნებულს თავისსავე ეზოში ესროლეს კიდეც და ნაგანის ტყვიამ ორ ადგილას გაუფერიტა ფარავა... ბენზე გადარჩა!..

ხორბლის მკა რომ განაღდა, ახალარჩეულმა თავმჯდომარემ შირაქში დაიღობა ბინა. ცოლ-შვილით სამი თვე საველე ფარულში ცხოვრობდა. მიწის სიყვარულმა და მისმა გონივრულმა გამოყენებამ კარგი შედეგი გამოიღო, ხალხის ცხოვრება გაუმჯობესდა. ნიკოს უშუალო ხელმძღვანელობით სოფელში გაკეთდა გზა, სინათლე, წყალი. აშენდა კულტურის სახლი 700 ადგილით, ამბულატორია, საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი, საბავშვო ბაღი, რადიოკვანძი, 200 ნომრიანი ავტომობილური სატელეფონო სადგური და აბანო.

მამასავით დასტრიალებს თავზეო. მადლობელი ვარ, ძია ნიკო, თუ გადავრჩი და ჩამოვედი, გადავხვევი, როგორც მამას“.

სამამულო ომის წლებში, როცა მთელი მოსავალი ფრონტს ეგზავნებოდა და ზოგჯერ ლუკმაც ენატრებოდათ, ნიკო დილაუთენია მალაზიაში პურის რიგში დგებოდა, იქ ნაყიდ პურს კი მოსახლეობას უწვავდა.

ზემო მარხაანის კოლმეურნეობამ სატანკო კოლონის ფონდში 130 000 მანეთი შეიტანა. 800-ზე მეტი ვაჟკაცი იბრძოდა. მათგან 476 შინ არ დაბრუნებულა. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სოფლის განაპირას, თათარაანთ სერზე შეირჩა ადგილი ობლასისკის ასაგებად. 476 ხე დარგო სოფლის მოსახლეობამ შინმოსვლელთა უკვდავსაყოფად, ამ ბაღში თავდაპირველად 37-მა ხემ იხარა, რომლის ნაყოფი იმ ოჯახებს გაუგზავნეს, ვის სახელზეც იყო დარგული.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ნიკოს ურთიერთობა ახალგაზრდებთან და ბავშვებთან. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საქმე ჰქონდა, გამოიხატავდა დროს, რომ პირველი სექტემბერი მიელოცა მოსწავლეებისთვის და დაესაჩუქრებინა ისინი შრომით სემესტრში მონაწილეობისთვის. „მამაიაშვილი ისევ სკოლაში სწავლობს“ - ხუმრობით ამბობდნენ სოფელში, როცა სკოლისკენ მიმავალ ნიკოს ხედავდნენ.

სხვა ბევრ ღვთიან მომადლებულ სიკეთესთან ერთად კაცთმოყვარეც იყო. ენანებოდა მშრომელი და გამრჯე ხალხი, ყოველთვის მათ მხარს იჭერდა. ზეპირად იცოდა ვინ რის გამკეთებელი იყო, ვის შეეძლო ჩაედინა ესა თუ ის დანაშაული. თუმცა, დასჯის მეთოდიც თავისებური ჰქონდა. დამნაშავეს დაიბარებდა, გაესაუბრებოდა. საცხედარს გაგზავნიდა, შედარებით დაბალანზლაურებად და მძიმე სამუშაოზე გადაიყვანდა. ერთხელ კოლმეურნეობის კრებაზე ცნობილმა კოლმეურნე მარო მაძღარაშვილმა უთხრა: „იცით, რომ თქვენ ქურდების ქოლგას გეძახიანო?“ ნიკომ უპასუხა: „ძნელია ადამიანი საციხედ გაიშვოს, ისიც ცოლ-შვილის პატრონი, რა იცი მისი პატრონობის დროს რა მოხდება. ოჯახი არ დაეწვას, ახლა მისი შვილების ნაღვლიან თვალებს რომ შეხედავ, გულის სიღრმეში შეძრუნდებიო“.

ნიკო მაზიაშვილის თვალს ვერაფერს გამოაპარებდით, ისეთი ძაფით იყო ნაკერი, რომ არცერთ საქმეში არ მოტყუებდებოდა. კარგად იცოდა შრომის ფასი - ზომავდა ხვნის სიღრმეს, მოსავლის ასაღებად ყანის შემოსვლას, სასუქებისა და შხამქიმიკატების გამოყენებას. წესად ჰქონდა, ყოველი ახალი წლის დილას სახლიდან გასვლისას მანქანის საბარგულში ჩაილაგებდა საახალწლო სანოვავებს, სასამელოს და ნაწილობა ფერმებში. მოგვიანებით კოლმეურნეობის გამგეობაში შეივლიდა, ყველას მიულოცავდა ახალი წლის დადგომას, უსურვებდა ჯანმრთელობას, წარმატებებს. საღამოს კი შინ დაღლილი ბრუნდებოდა.

ნათქვამია, შეუცვლელი ადამიანები არ არსებობენო, მაგრამ ეს იმასაც ნიშნავს, რომ ქვეყანას კარგი კაცი არ დაეუღევა. ერთხელ, ომამდე, როცა ნიოტელწყაროს რაიონში გზები ძალიან ცუდ დღეში იყო, მთავრობის დადგენილებით გადამწყვეტეს მამაიაშვილი საგზაო განყოფილების უფროსად გადაეყვანათ. მოიწიეს საგადარჩევნო კრება. (არსებობდა ასეთი სახელწოდების კრებაც.) თვითონ რაიონის მდივანი ჩასულა ზემო მარხაანში. მთელი სოფელი აგულუნდა - „ვერ დაგანებებო“, მოახსენეს. ბევრს ეცადა მდივანი, ისიც კი თქვა - „შეუცვლელი არავინ არ არისო, სხვა სოფლებს მამაიაშვილი არა ჰყავთ, მაგრამ მათი საქმე კარგად მიდისო. ზამო ქაღვი კოზა ჩოხალი ჰყავთ, არსილოზი ვანო ქაღვიარაჰ, გამარჯვებას და ჯაფარიქაჰი კი ვანო ფიროსმანაშვილი და ნიკო ყოჩიაშვილიო“. ამ დროს ფეხზე წამოდგა მოხუცი დიმი პაპაშვილი და თქვა: „ეგენი, შვილო, თავიანთი

სოფლის მამაიაშვილები არიან, ერთი მამაიაშვილი ჩვენც გვინდა გვყავდესო“.

40 წლის მანძილზე თავისი ნიჭი, ენერგია, ყმანვილკაცობა ზემო მარხაანელთა კეთილდღეობას შესწირა. ნიკო მაზიაშვილი ღაჯილდოვებული იყო „საპატიო ნიშნის ორდენით“ (1944 წ.); ლენინის ორდენით (1967 წ.); ოქტომბრის რევოლუციის ორდენით (1952 წ.); ხოლო 1966 წელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება.

70 წლის იუბილეზე ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მისაკო ორაგველიძემ ასე მიმართა ნიკოს: მე „დასავლეთ საქართველოში რომ არ ვყოფილიყავი, აღმოსავლეთში ნიკო მაზიაშვილობას ვინატრებდიო“.

პენსიაზე გასვლის შემდეგ 13 წლის განმავლობაში ნიკო მაზიაშვილი სოფლის მეურნეობის მუშაკთა პროფკავშირების რაიონული საბჭოს თავმჯდომარედ მუშაობდა. მისი მდიდარი გამოცდილება, მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა თალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა იცხოვროს ადამიანმა თავისი ხალხის, ოჯახისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

1998 წელს ნიკო მაზიაშვილი 96 წლის ასაკში გარდაიცვალა. დიდმა და პატივამ დაიტრია სახელოვანი მამულიშვილი. აი, როგორ გამოეთხოვენ ზემო მარხაანელები მას:

„ბ-ნო ნიკო, 40 წელი აშენე სოფელი, აშენებდი და ამშვენებდი. სოფელი შენ გიხდებოდა, შენ სოფელს უხდებოდი. და განა გასაკვირია ის გულისტკივილი, რაც შენმა გარდაცვალებამ გამოიწვია?“

„დიდებულო, სულით ძლიერო, სახელოვანო თავკაციო, შენი უტყბი ნებისყოფის წყალობით შეგეძლო ერთნაირი თავდაჭერილობით შეხვედროდი წარმატების სისარულს და მარცხის მწუხარებასაც. ვინ აზომავს და აწონის შენს მიერ გაღებულ მადლს? ხალხი გიყვარდა და ხალხსაც უყვარდი. ვინ მოსთვლის რამდენი ამაგი დაგდევდა ქვრივობლებისთვის, მოხუცებისთვის, რამდენი გაზასაცდენილი სწორ გზაზე დაგიყენებია. რამდენი დანერგვის პირას მისული ოჯახი კეთილი რჩევით გაგიმთლიანებია, მამაშვილური დარიგებით რამდენისათვის განსაცდელი აგირიდებია. საკვირველი ის იყო, განსწავლული არ იყავი, მაგრამ სწავლულები შენს აზრს დიდად ავსახებდნენ. სიტყვის ოსტატი არ იყავი, მაგრამ შენს სიტყვას ოქროს ფასი ჰქონდა...“

„აი, მოვედით შენი პატივისცემული ზემო მარხაანელები. გეთხოვებით ნიკო მაზიაშვილი - კაცო გულადო, თვალადო, პურადო, ფოლადიანო... მშვიდობით კეთილო კაციო, სიცოცხლეში ხალხის სათაყვანებელი იყავ, ახლა კი ლეგენდასავით შემორჩი ზემო მარხაანს. გაივლის წლები და ასე იტყვიან: იყო სოფელი კაცი, სოფელს აშენებდა და ამშვენებდაო - ეს კი შენთვის ყველაფერს ნიშნავს. ღმერთმა გააძლიეროს შენი ბრწყინვალეობა უკუნიით უკუნიამდე!“

დაკრძალვის ცერემონიაზე ნაიკითხეს ზემო მარხაანელი ბიო მარტყოფილიშვილის ლექსიც.

„შენი მადლია, რაც გაგაგანია შენი სიკეთით ვართ დაფლოცვილი და ყველა ჯიღლი, თვითონ ვარსკვლავიც, ყელზე დაგაკიდეთ ავგართხვიო.“

მოგიძღვნით ლექსებს და ნათლის სვეტად თავს დაგადგება სიტყვის ვარაყი, ოღონდ გააჩუქე ერთი დიმილი, შეგამსუბუქე მცირე ვარაში.

ცისკრის ვარსკვლავის ამოსვლისას დაბადებულო, ქედებდიათ. შენ განდობით გულის ზაფხადს გული გავსუნდება, რომ ცისქვეშეთში ადარ იქნები, და ვერასოდეს ვერ შეხვდები დიად განთიადს.

ძარღვებში სისხლი გაიყინა, გული გაიწვია, გაიფუტო, ერთხელ შეხვეს შენი შესანდობარა, ხელმადლიანი, იყავ ყველას შემწყნარებელი, აბა რა გქონია, შესანდობარა?

გაგაღალეხდა ჩვენი სოფლის ავი და კარგა, მის შენებაში განუთხოვე შენი წვლილია, გულია გონება, მონდობა, ახალგაზრდობა, მარხაანისთვის უშურველად შეგვიწირა.

შედა ათეულ წელს ხალხის გულში მშეს აბუდებდი, თან წაიყოლე საქმის ცოდნა, გამოცდილება, სულთ რაინდი, სიცოცხლეში კერპად ქცეული, ახლა ლეგენდად გადაიქცევა, შენს სულს დიდება.

აჰა, გაფრინდი, შენი სული ცას შეეწვიათ, სულკურთხეული, მიწაზე რისთვის გეპოით? დემონს ვევედრებთ შენი სული ნათელში იყოს, სანთლის და საკმლის ხურნელება უხვად გვერქვიოს!

დალი ხალხშილი მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მკვლევარი.

უპაღური შემთხვევები

გარდაიცვალა „ფრონტერას“ ელექტროკოსი, რომელიც ბოდიან ჩამოვარდა. დაშავებული ჯერ დედოფლისწყაროს საავადმყოფოში მოათავსეს, საიდანაც მეორე დღეს განერეს. შემდგომ დღეებში მას გურჯაანში KT კვლევა ჩაუტარდა და თბილისში გადაიყვანეს, ერთი კვირის თავზე კი 65 წლამდე მამაკაცი გარდაიცვალა.

„13 ოქტომბერს ბოძი, რომელზეც ასული იყო მამაჩემი, გადატყდა და გადავარდა. კიბით ავიდა ბოძზე, მაგრამ ბოძი ძირში დამპალი ყოფილა. შესაბამისად ბოძიც და

კიბიც ზედ გულმკერდზე დაეცა. 112-მა გადაიყვანა დედოფლისწყაროს საავადმყოფოში, სადაც რენტგენის და ექოს გადაღების შემდეგ უთხრეს, რომ მხოლოდ დაუფილოზა იყო და მეორე დღეს გამოუშვეს სახლში. ორმაბათს გადაიყვანეს გურჯაანში. გადაუღეს კატე, 17-ში, სამაბათს მოვიდა პასუხი და გაიკვია, რომ მოტეხილი ჰქონდა 5 ნეკნი, პლევრაში დიდი რაოდენობის სითხე, დიდი ჰემატომა მუცლის არეში და ჰაერი. ოთხმაბათს გადაიყვანეს თბილისში, სადაც დრენაჟით ამოუტუმბეს 1 ლიტრამდე

სისხლი და პარასკევს დილის 7 სთ-ზე უეცრად გარდაიცვალა მიღებული ტრავმების შედეგად.“ - აღნიშნავს გარდაცვლილის შვილი, ეკატერინე ჭუჭულაშვილი.

უბედური შემთხვევა მოხდა „მყარი ნარჩენების კომპანიის“ დედოფლისწყაროს ნაგავსაყრელის ტერიტორიაზეც. რამდენიმე დღის წინ ამავე კომპანიის ტრაქტორისტი უნებლიედ ტრაქტორიდან გადმოვარდა, წამოდგომა ვერ შეძლო და მძიმე ტექნიკამ ზედ გადაუარა. სოფელ სამრეკლოში მცხოვრები შუა ხნის მამაკაცი ადგილზე გარდაიცვალა.

„ტრაქტორის მუხლუხებმა ნარჩენები მიიკრა. კაბინიდან ცდილობდა მუხ-


ლუხების გასუფთავებას. რკინის მავთული ეჭირა, რომელიც მუხლუხომ ჩაიხვია. როგორც ჩანს, ხელი არ გაუშვა და გადმოვარდა. მას ტრაქტორმა გადაუარა“, - იხსენებენ თვითმხილველები.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე, თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით დაიწყო.

ამას გარდა, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს გარდაცვალა კვლევი ერთი მამაკაცი. ავტოავარია 13 ოქტომბერს დედოფლისწყაროსა და სიღნაღის დამაკავშირებელ გზაზე მოხდა.

„მუდმივად ეპიეთ და განვითარდით“

საზღვარგარეთ სწავლა, თუ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, კარგი შესაძლებლობაა ნებისმიერი ადამიანის პროფესიული განვითარებისთვის. ამის შანსი აქა იმ წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატის მოსწავლეს ბიორგი ალუღიშვილს, აგვისტოში გამართული თრუსოს ბანაკის შემდეგ გაუჩნდა. ამ ბანაკის ორი ნაკადიდან გერმანია-შვეიცარიის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობისთვის თორმეტი ბავშვი შეარჩიეს, მათ შორის გიორგიც. გერმანია-შვეიცარიის გაცვლით პროგრამა მიზნად აღნიშნულ ქვეყნებში ქართული კულტურის წარდგენას ისახავდა. გერმანიაში მათ ერთ-ერთმა მოსწავლემ უმასპინძლა, სადაც ნიკოლა ქართულ ენაზე ალექსანდრე ბავშვებს ქართულად გალობის შესაძლებლობაც მიეცათ. ამასთან, რა თქმა უნდა, ბავშვები იქაური ცხოვრების წესს, ტრადიციებსა და კულტურას გაცნენ. პროგრამაში მონაწილეობაზე, შთაბეჭდილებებზე, მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე გიორგი გაზეთ „შირაქს“ ესაუბრა:



„გიორგი, მოგვიყვი შენს შესახებ. როგორია სკოლის ბოლო წელი? აბიტურიენტობა? როგორი შეგრძნებაა სკოლასთან დამშვიდობება?“

მე ვარ გიორგი ალუღიშვილი, 17 წლის, ვსწავლობ დედოფლისწყაროს წმ.მეფე ვახტანგ გორგასლის სახელობის სკოლა-ინტერნატში, მე-12 კლასში. თავისუფალი დრო, პრაქტიკულად, არ მაქვს, მაგრამ, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ძირითადად გალობით და ხალხური სიმღერით ვარ დაკავებული. შესაბამისად, აბიტურიენტობასთან ერთად ჩემი გრაფიკი უფრო დაიტვირთა. ძალიან უცნაური შეგრძნებაა სკოლის ბოლო წელი, გადარტყვით, მაგრამ საკუთარი ძალების მოზიარების კარგ შემთხვევებთანაც იძლევა.

როგორ მოხვედით თრუსოს ბანაკში? ჩვენს სკოლაში მოვიდა მონვევა, რომლის ფარგლებშიც სკოლას უფროს კლასებში უნდა შეერჩია ორი წარჩინებული მოსწავლე. ხმამაღალ ნათქვამად არ ჩამეთვალოს, მაგრამ ბიჭებში, კონკურენტი არ აღმოჩნდა (იღიმის), ხოლო გოგოებში არჩევნები ჩატარდა და გამარჯვებული ჩემთან ერთად თრუსოს ბანაკში წამოვიდა. ეს ბანაკი საქართველოს საპატრიარქოსა და სტეფანწმინდისა და ხევის არქიმანდრიტის, იოანე ფერაძის მიერ იყო ორგანიზებული. მართლმადიდებლური, საგანმანათლებლო, შემეცნებითი, დასასვენებელი ბანაკის დევიზი გახლდათ: „ღმერთი, სამშობლო,

ადამიანი“ და შესაბამისად, თემატიკაც ამ სამი მიმართულებით განისაზღვრა. თუმცა, გარდა ამისა, იყო სპორტული შეჯიბრებები ფეხბურთში, ფრენბურთში, კალათბურთში, ასევე მკლავჭიდაობა, ჭადრაკი, შაშხი და ა.შ. გვექონდა ინტელექტუალური თამაშები, პოეზიის საღამოები, ლაშქრობები, ადგილობრივი ლირსშესანიშნაობების მონახულება და ა.შ. ბანაკი 10 დღე გაგრძელდა.

რა მოგცა ამ ბანაკში გატარებულმა დრომ?

უპირველესად, ეს ბანაკი ჩემთვის ადამიანური ურთიერთობების თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი. გაცივანი ბევრი ჩემი თანატოლი. მათი სახით კარგი მეგობრები შევიძინე. გარდა ამისა, სხვა რეგიონის გაცნობისა და შესწავლის საშუალება მომიცა.

თრუსოს ბანაკის შემდეგ შეგარჩიეს იმ 12 ბავშვში, რომელმაც გერმანია-შვეიცარიის გაცვლით პროგრამაში მიიღო მონაწილეობა. გვესაუბრე პროგრამაზე, რას ემსახურებოდა ის?

ზოგადად, ბანაკში არჩევდნენ ისეთ მოსწავლევებს/ბავშვებს, რომლებიც აღნიშნულ ქვეყნებში საქართველოს კულტურის წარდგენას შეძლებდნენ. მათ, ვისაც შეეძლო ლექსების მხატვრულად კითხვა, სიმღერა, რომლებიც აქტიურები იყვნენ კულტურული თვალსაზრისით. ერთ-ერთი აღმოვჩნდი მეც. პროგრამა, რომელიც სტეფანწმინდისა და ხევის არქიმანდრიტის, იოანე ფერაძის მიერ იყო ორგანიზებული, ემსახურებოდა საქართველოს კულტურის წარდგენას აღნიშნულ ქვეყნებში. გარდა ამისა, პროექტში შედიოდა იქაური კულტურის გაცნობაც. გაცვლით პროგრამაც ხომ ამას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ქვეყნებში ერთმანეთს საკუთარი კულტურა გავაცნოთ. პროგრამაში მონაწილე უცხოელ ბავშვებთან ურთიერთობა განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა, რადგან ინგლისურ ენაზე დამჭირდა საუბარი და ეს ჩემთვის ერთგვარი ტესტი იყო, საკუთარი თავის გამოცდისა და განვითარების ერთ-ერთი კარგი საშუალება. უკვე შემძლია გარკვეულ დონეზე სხვა ქვეყანაში ადაპტირება. ამ პროგრამამ, თავისი აქტივობებით, ჩემი დამოუკიდებლობის ხარისხი უფრო მეტად გაზარდა.

რა გამოცდილების, სიკეთისა და სიახლეების მომტანი აღმოჩნდა აღნიშნული პროგრამა?

ჩემთვის ეს პროგრამა უამრავი სიკეთის მომტანი აღმოჩნდა: ძალიან ბევრი ახალი რამ გავიგე ევროპის ქვეყნებზე, შევადარე ჩვენი და მათი კულტურა, მომეცა დაკვირვებისა და ანალიზის საშუალება, პიროვნულად გავიზარდე, უფრო დამოუკიდებელი გავხდი. ამ ათმა დღემ სხვა მსგავს პროექტებში მონაწილეობის მიღებაზე დამაფიქრა. ეს ნამდვილად სიახლე აღმოჩნდა ჩემთვის. სამწუხაროდ, აბიტურიენტობა, ფაქტობრივად, თავისუფალი დროის არ არსებობაა, ამიტომ ვერ ვფიქრობთ ამ კუთხით ვარ მოზიარებული. თუმცა, სამომავლოდ არაფერს გამოვირცხავ. ამ პროგრამამ ის სიკეთეები დამანახა, რაც მსგავს პროექტებში მონაწილეობას მოაქვს: სიახლეებისა და ცვლილებებისადმი უფრო გახსნილი და მიმღებლური გავხდი.



როგორ ფიქრობ, ამ პროგრამიდან მიღებული ცოდნა და გამოცდილება სამომავლოდ როგორ შეიძლება გამოიყენოს?

გავხდი უფრო გაბედული, აღარ მეშინია გამონვევების, სირთულეების, უფრო მარტივად ვუმკლავდები არსებულ დაბრკოლებებს, შესაბამისად, არსებული ცოდნა და გამოცდილება სამომავლოდ ახალი საკმეების თავისუფლად წამოწევის საშუალებას მომიცემს. აღარ ვიფიქრებ იმაზე, ღირს თუ არა სხვადასხვა კონკურენტში, ბანაკებში, პროგრამებში თუ პროექტებში მონაწილეობა, რადგან შედეგი უკვე საკუთარი თავით დავინახე. გარდა ამისა, შემიძლია სხვებისთვის გავხდე მოტივაციის წყარო და მაგალითი, რომ არ შეუშინდნენ გამონვევებს, ასეთ პროგრამებში ჩაერთონ და წარმატებებს მიაღწიონ. ვფიქრობ, ჩემი მაგალითი მათთვის ერთგვარი ბიჭი გახდება ამ კუთხით გააქტიურებისა და მონღებების საკითხში.

რამდენად ნაყოფიერი აღმოჩნდა ეს პროგრამა თქვენთვის?

ვფიქრობ, რომ თუ ერთი ადამიანი მაინც დააფიქრა და ბიჭი მისცა ჩემმა გამოცდილებამ, ესეიგი ამა თუ იმ პროგრამამ/პროექტმა უკვე ნაყოფიერად იმუშავა. ჩემს შემთხვევაშიც ასე იყო. ვფიქრობ, სამაგალითოდ ყოფნა უკვე წინ გადადგმული ნაბიჯი და ერთგვარი შედეგია. ეს პროგრამა ცოდნის გაღრმავება, თვალსაზრისის გაფართოება, აბიტურიენტობის პროცესში რელაქსაცია აღმოჩნდა ჩემთვის. თითქოს მან ცოტა ხნით მომწყვიტა დაძაბულ აბიტურიენტულ გრაფიკს და ახალი ენერგიით დამეზღვის საშუალებაც მომიცა.

როგორ ფიქრობ, რამდენად განსხვავდება ან მსგავსია ეს ქვეყნები ჩვენს კულტურასთან, წესებთან?

სიმართლე გითხრათ, განსხვავება უფრო მეტი დავინახე ვიდრე მსგავსება. ვფიქრობ, პირველი განსხვავება - ეს ბუნებაა. ჩვენს ბუნებას მართლა ვერაფერი შეედრება და ჩემი მხრიდან, არ იქნება გადაჭარბებული თუ ამას ხმამაღლა განვიცხადებ. გარდა ამისა, იქ ადამიანები საოცრად მშვიდები, პუნქტუალურები არიან, პატივს სცემენ და უფლიან იმ გარემოს სადაც ცხოვრობენ, მუშაობენ, ისვენებენ. იცან ამ ყველაფრის მოფრთხილება. ევროპის მოწესრიგებულობა ჩემზე საკმაოდ დიდი გავლენა იქონია. ჩვენ რადგან მონასტერში ვიმყოფებოდით, ძირითადად, რელიგიურ წესებსა და ტრადიციებს გავეცანით. იმას, თუ როგორ

მიმდინარეობს ევროპაში მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურება და ა.შ. ნორვაკ ალექსანდრე ქართულ ენაზე და მოგვეცა ჩვენი მრავალხმიანი, პოლიფონიური გალობისა და სიმღერის აუღერების საშუალება. უცხოელებს საკმაოდ დადებითი ემოციები ჰქონდათ ჩვენი გალობის მოსმენის შემდეგ, მათთვის საკმაოდ უცხო აღმოჩნდა მრავალხმიანობა, რადგან ისინი ერთ ხმაში გალობენ და მათი გალობის სტილიც განსხვავებულია. რამდენიმე ქართველი მონაწილე დაგვხვდა მონასტერში. მათთვის საკმაოდ ნოსტალგიური აღმოჩნდა ქართული გალობის მოსმენა. გერმანელებმაც და შვეიცარელებმაც შეასრულეს თავიანთი საგალობლები, რომლებიც ჩვენგან განსხვავებით უფრო მეტად სევდიანი და მძაფრია. გამოვიყოფდი ერთ მომენტს, როდესაც ქართულ სამზარეულოს მიჩვეული ბავშვები, ადგილობრივ კერძებს ვერ აგემოვნებდნენ და უჭირდათ შეკვება.

რას ეტყობით თქვენი თაობის წარმომადგენლებს? რას ურჩევდით ამ კუთხით, რამდენად მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლება და მასში ჩართულობა ახალგაზრდის განვითარებისთვის?

იმ თეორიულ ცოდნას, რასაც ჩვენ სკოლაში ვიღებთ, აუცილებლად სჭირდება პრაქტიკაში განხორციელება, საკუთარი თავით დანახვა, აღქმა, თითქოს ასე უფრო სხვანაირად უყურებ ადამიანი, სხვანაირად აანალიზებ. არაფორმალური განათლება და მსგავსი პროექტები ერთგვარად თვალსაზრისის გაფართოებაა, რადგან ერთი რას სწავლობ სკოლაში, მაგრამ მეორეა ამ კედლებს მიღმა არსებული ინფორმაციის მიღება და დამუშავება. სხვა ქვეყნების გაცნობა, თუნდაც საკუთარი ქვეყნის რეგიონების, სხვა წესებისა და ტრადიციების ნახვა, გვაძლევს უკეთ ადაპტირების საშუალებას იმ ცხოვრებაში, რა ცხოვრებაც გველოდება სკოლის მიღმა.

ვუპირახ, მსავსი გამოცდილება აუცილებელია ახალგაზრდისთვის და ახალგაზრდისთვის. ჩემი თაობის წარმომადგენლებს ვეძღვები, რომ იმავითი ყურადღება მისწავლავს, თავიანთი უნარებს და სწორად აირჩიონ პროფესია, რადგან აღამიანისთვის არასასურველი პროფესიის ცხოვრება, საკმაოდ მძიმე სიმპტომი უნდა იყოს. შედეგად, არასაკმარისად პროდუქტიულია, უფრო მეტი დრო უნარებსა და პროფესიის განვითარებისთვის და ვეღარ ახერხებს სწორი მიმართულებით უწყისობას. მუდმივად ეპიეთ და განვითარდით - ეს იქნება ჩემი გზავნილი მათთვის!

ესაუბრა
შუშუნა ყანაშვილი

გ ა ნ ს ხ ა დ ე ბ ა !
დაგეხმარებით თხილისა და კაკლის დამტვრება-დარჩევაში.
ფასი შეთანხმებით.
მსურველები დაგვიკავშირდით
შემდეგ ნომერზე: 5 68 73 29 38

ა მ ი ნ დ ი		დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო					
ორშაბათი 30.10 დღე	სამშაბათი 31.10 ღამე	ოთხშაბათი 01.11 დღე	სუთშაბათი 02.11 ღამე	პარასკევი 03.11 დღე	შაბათი 04.11 ღამე	კვირა 05.11 დღე	ღამე
20°	9°	17°	7°	19°	8°	21°	8°

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია პარჭყოფიანი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებს პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: შუშუნა ყანაშვილი (ჟურნალისტი); ილზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნინა ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზინა ქანდაძე (საქმის მწარმოებელი).

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს. „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროლსმანის №18, ☎ 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, № 6 014-468.
გაზეთის გამომწერა წელიწადში - 20 ლარი